# საქართველო
## რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№66 (9897) 2025 წლის 9 მაისი, პარასკევი




# 9 მაისი
## ფაშიზმზე გამარჯვების დღე

გერმანიაში ფაშიზმის, როგორც ხანდახან უწოდებენ, „ყვითელი ჭირის“ დამმარცხებელი სტალინის ძეგლებს საქართველოში ებრძვიან. გერმანია კი არ ივიწყებს ისტორიას და სამაგიეროს გადახდასთან ერთად, ახალი რომის იმპერიობაზეც თუ ჰქონდათ პრეტენზია, არ გვეგონა.

ფრიდრიხ მერცი:

იხ. 4 გვ.



## „ჩვენ უნდა შევქმნათ ევროპის არმია“

## ფინანსური დახმარება ომის ვეტერანებს

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს 2 000 ლარი, ხოლო ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს 1 000 ლარი ჩაერიცხათ, – ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, **თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა,** „ომის ვეტერანთა დახმარების“ პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი თანხა თბილისში რეგისტრირებულ 52 პირს ჩაერიცხა. კერძოდ, 2 000 ლარი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე – 26-მა ვეტერანმა, ხოლო 1 000 ლარი ამ ომში დაღუპულთა ოჯახის 26-მა წევრმა მიიღო (ქვრივი, შრომისუუნარო წევრი).

9 მაისთან დაკავშირებით, 2024 წელს თანხა 70 პირს ჩაერიცხა, მათგან, 37 მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი იყო.



3 4

## „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ქაოსის, ომებისა და ნგრევის ეპოქაში“

ირაკლი კობახიძე:

2 3

## ერთადერთი, ვინც ამტკიცებს საქართველოში ხელისუფლებას, ეს არის ქართველი ხალხი და ქართველი ხალხის ნებას და არჩევანს ყველამ უნდა სცეს პატივი!..

შალვა პაპუაშვილი:

3

## დრო დადგა, ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ დააფასოს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა

გურამ მაჭარაშვილი:

4

## ამერიკაშიც ბოლომდე არ არის დამარცხებული „დიპ სთეითი“

# ქრისტეს გმობა თავისუფლების სახელით!..




9

## გარყვნილები, რადიკალები და „სამეფო უბნის თეატრი“

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# ისევ და ისევ, კადრები წყვეტენ ყველაფერს!

**7 მაისს გაიმართა „ქართული ოცნების“ მორიგი ყრილობა. პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე აირჩიეს.**

დაამტკიცეს აგრეთვე პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განახლებული შემადგენლობა:

**ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი კობახიძე, კახა კალაძე, შალვა პაპუაშვილი, მამუკა მდინარაძე, გიორგი ვოლსკი, თეა წულუკიანი, ვახტანგ გომელაური, ირაკლი ჩიქოვანი, მაკა ბოჭორიშვილი, ნიკოლოზ სამხარაძე, მარიამ ქვრივიშვილი, დიმიტრი სამხარაძე, სულხან თამაზაშვილი, ნინო წილოსანი.**





ირაკლი კობახიძის გამოსვლა „ქართული ოცნების“ ყრილობაზე

# ჩვენი სიმართლე სამშობლოსთვის ბრძოლაში აუცილებლად გაიმარჯვებს!

**„მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, მივესალმები ჩვენი პარტიის დამფუძნებელს და საპატიო თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მივესალმები პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრებს, მივესალმები პარლამენტარებს, მთავრობის წევრებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ყრილობის თითოეულ დელეგატს, მივესალმები ჩვენი პარტიის წევრებს, მივესალმები საზოგადოებას.**

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარეობა, რა თქმა უნდა, არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და ამასთან ერთად, ბუნებრივია, არის ძალიან დიდი პატივი. მხარდაჭერისთვის და გამოცხადებული ნდობისთვის თითოეულ თქვენგანს ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ. მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში თავმჯდომარეობდა პარტიას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გასულ წელს ჩვენი პარტიის საარჩევნო წარმატებაში. ასევე, მადლობა მინდა მას გადავუხადო ყველა იმ დამსახურებისთვის, რომელიც ქვეყნისა და პოლიტიკური გუნდის წინაშე უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობებზე მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე მიუძღვის.

ქალბატონებო და ბატონებო, ახლახან შესრულდა 13 წელი „ქართული ოცნების“ დაფუძნებიდან.

ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, მშვიდობიანი განვითარებისთვის, კეთილდღეობისთვის, ქართველი ხალხის ღირსების დაცვისთვის უთანასწორო, მაგრამ მართალი და წარმატებული ბრძოლის 13 წელიწადი. ამ ბრძოლას საფუძველი ჩაუყარა ჩვენი პარტიის დამფუძნებელმა და საპატიო თავმჯდომარემ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. მე თავს უფლებას მივცემ, თითოეული თქვენგანის სახელით, მას გადავუხდი უდიდეს მადლობას ქართული საქმის კეთებისთვის. კიდევ ერთხელ მადლობა: თავდადებისთვის, უდიდესი სიბრძნით, შორსმჭვრეტელობითა და მოთმინებით ქართული საქმის კეთებისთვის, საქართველოში ავტორიტარიზმის დასრულებისა და ქვეყანაში დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებების განმტკიცებისთვის.

ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, რომ დღეს საქართველოს ჰყავს პირველი ხელისუფლება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რომლის პირობებშიც, ჩვენს ქვეყანას ომი არ ჰქონია და ჩვენ გვქონდა უწყვეტი 13-წლიანი მშვიდობა. ჩვენი ქვეყანა ინარჩუნებს მშვიდობას, სტაბილურობასა და ეკონომიკური განვითარების სწრაფ ტემპს. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დღეს ჩვენი პატარა, მაგრამ ამაყი ქვეყანა არის დამოუკიდებელი და სუვერენული, როგორც არასდროს. კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა თქვენ ამ ყველაფრისთვის. დღეს სამყარო ურთულესი გამოწვევების წინაშე დგას: ვხედავთ, როგორ ცდილობენ გავლენიანი ძალები, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი დაათმობინონ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებსაც კი; ვხედავთ, როგორ ანგრევენ მრავალი ქვეყნის ეკონომიკას; ვხედავთ, როგორ თელავენ ფეხქვეშ დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტარულ პრინციპებს იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ამ პრინციპების სამშობლოდ მიიჩნევიან; ვხედავთ, როგორ ცდილობენ, ეროვნული და რელიგიური იდენტობა წაუშალონ უძველესი კულტურის მქონე ქვეყნებს; ვხედავთ, როგორ ებრძვიან ქრისტიანობას და სხვა ტრადიციულ რელიგიურ აღმსარებლობებს; ვხედავთ, როგორ ებრძვიან და აუფერულებენ კულტურის ყველა სფეროს; ვხედავთ, როგორ იყენებენ სხვადასხვა ქვეყანას საზარბაზნე ხორცად საკუთარი მანკიერი პოლიტიკური ინტერესების მისაღწევად; ვხედავთ, როგორ ცდილობენ წაშალონ ადამიანების პიროვნული იდენტობა, როგორ უპირისპირდებიან მორალს და ტრადიციულ ღირებულებებს, ნერგავენ უამრავ მანკიერებას, რომელთა ნორმად წარმოჩენა, თუნდაც, 10-15 წლის წინ თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან რთულად წარმოსადგენი იქნებოდა. ბუნებრივია, ამ არაჯანსაღი გლობალური პოლიტიკური პროცესების მიღმა ვერც საქართველო აღმოჩნდებოდა და შესაბამისად, მთელი 13 წლის განმავლობაში, ჩვენ გვიწევდა და გვიწევს უკომპრომისო ბრძოლა:

**საქართველოს სუვერენიტეტისთვის, ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობისთვის;**

**გვიწევს ბრძოლა: ქრისტიანობის დასაცავად, მშვიდობის შესანარჩუნებლად, ტრადიციული ღირებულებებისა და საზოგადოებრივი მორალის განსამტკიცებლად. ეს არის უთანასწორო ბრძოლა, სადაც უპირატესობის შენარჩუნების შესაძლებლობას მხოლოდ სიმართლე გაძლევს. ეს არის ურთულესი ბრძოლა, სადაც სიმტკიცის შენარჩუნების ძალას გაძლევს რწმენა, რომ ნებისმიერი სისუსტის გამოვლენა შენს ქვეყანას განადგურებად შეიძლება დაუჯდეს და შესაბამისად, ნებისმიერი უკან დახევა არის დანაშაული საკუთარი ქვეყნის წინაშე. დიდი მადლობა ქართველ ხალხს, რომელმაც გასული რამდენიმე წლის მანძილზე გამოავლინა განსაკუთრებული გამოცდილება და სიბრძნე და მყარად დადგა საქართველოს ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. სწორედ ქართველი ხალხის – საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა იყო მთავარი, რაც ჩვენ ყველაზე რთულ მომენტებში ყველაზე რთული გამოწვევების გადალახვის საშუალებას გვაძლევდა. ქართველი ხალხის მხარდაჭერით, შარშან ჩვენ გავიმარჯვეთ რეფერენდუმის ტოლფას არჩევნებში, რამაც საქართველოს მშვიდობა და განვითარების შესაძლებლობა შეუნარჩუნა. დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს თითოეულ პატრიოტ თანამოქალაქეს საქართველოს ეროვნული ინტერესების მტკიცედ დაცვისთვის.**

**ჩვენი მიზანია, კეთილდღეობა შევიდეს თითოეულ ქართულ ოჯახში. ამიტომ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ გაგრძელდეს საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარება, რომელმაც გასული 4 წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის გაორმაგების შესაძლებლობა მოგვცა; ჩვენი ეროვნული მიზანია საქართველოს გამთლიანება. გამთლიანებაში, ერთი მხრივ, ვგულისხმობთ ქართველი საზოგადოების გაერთიანებას.**

# მსოფლიო დენთის კასრზე დგას

„ქართული ოცნება“ არის პოლიტიკური ძალა, რომელსაც, როდესაც საქმე საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ეხებოდა, არასდროს არცერთი ნაბიჯით არ დაუხევია უკან. ჩვენი წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში, საქართველოს მთავრობაში და ადგილობრივ ხელისუფლებაში, ერთგულად და უშიშრად ემსახურებიან და იცავენ საქართველოს ინტერესებს ყველგან და ყოველთვის. დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს ამისათვის! ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე 5 თვეზე ნაკლებია დარჩენილი. არჩევნებისთვის სამზადისი დაწყებული გვაქვს და რამდენიმე კვირაში უკვე ოფიციალურად გავხსნით საარჩევნო კამპანიას. პარტია სრულად იქნება მობილიზებული მე-10 საიუბილეო გამარჯვებისთვის და ეს გამარჯვება იქნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო წელში გამართული, კიდევ უფრო განვითარებული საქართველოსკენ. ქართველი ხალხის მხარდაჭერით, ჩვენ მოვიგებთ მერის და საკრებულოს არჩევნებს 64-ვე მუნიციპალიტეტში, რათა არცერთ მუნიციპალიტეტში არცერთი დღით არ შეჩერდეს განვითარება და სრულად დავიცვათ საქართველოს თითოეული მხარის, თითოეული კუთხის ინტერესები. ჩვენ გვაქვს მკაფიო სახელმწიფოებრივი ამოცანები. ეს არის: დემოკრატიული სისტემისა და სამართლის უზენაესობის კიდევ უფრო განმტკიცება, საქართველოს დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების გაძლიერება, ქართული ეკონომიკის განვითარება, საქართველოს საგარეო პოლიტიკური პოზიციების გამყარება, ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანება. სახელმწიფოებრივ ამოცანებთან ერთად, ჩვენ გვაქვს ორი ეროვნული მიზანი – ორი ეროვნული, ქართული ოცნება:

ჩვენი მიზანია კეთილდღეობა შევიდეს თითოეულ ქართულ ოჯახში. ამიტომ, ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ გაგრძელდეს საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარება, რომელმაც გასული 4 წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის გაორმაგების შესაძლებლობა მოგვცა; ჩვენი ეროვნული მიზანია საქართველოს გამთლიანება. გამთლიანებაში, ერთი მხრივ, ვგულისხმობთ ქართველი საზოგადოების გაერთიანებას.

ჩვენ ვხედავთ, როგორ ცდილობენ, ქართველებს გარედან თავს მოგვახვიონ ერთმანეთის სიძულვილი, როგორ ცდილობენ დათესონ სიძულვილი ყველაფერი ქართულის – მათ შორის ქართული სახელმწიფოს და ჩვენი დედაეკლესიის მიმართ. ქართული პოლიტიკიდან რადიკალების ჩამოშორების შემდეგ, რაც ძალიან მალე მოხდება, ჩვენ აუცილებლად დავამარცხებთ სიძულვილს, დავიბრუნებთ გზასაცდენილ თანამოქალაქეებს და გავაერთიანებთ ჩვენს საზოგადოებას. ეს არის ჩვენი ეროვნული ამოცანა. ჩვენ ვერავის მივცემთ უფლებას, სიძულვილით გახლიჩოს ქართული საზოგადოება და გავაერთიანებთ ადამიანებს სიყვარულით ერთმანეთის და საკუთარი სამშობლოს მიმართ. მეორე მხრივ, გამთლიანებაში ჩვენ ვგულისხმობთ საქართველოს ფიზიკურ გაერთიანებას. აფხაზეთისა და აფხაზების, ცხინვალისა და ოსების დაბრუნებას ერთიან ქართულ სახელმწიფოში. გვჯერა, რომ მშვიდობით, პრინციპულობით, სიყვარულითა და მოთმინებით, აუცილებლად აღვადგენთ ნდობას და ნდობასთან ერთად, ერთიანობას და ამით, ავასრულებთ ჩვენს უმთავრეს ეროვნულ, ქართულ ოცნებას ერთიან საქართველოზე.

**ქალბატონებო და ბატონებო, სიძულვილს სძლევს სიყვარული, ბოროტებას ძლევს სიკეთე და სიცრუეს ძლევს სიმართლე. ჩვენ კიდევ ბევრჯერ გავიმარჯვებთ, რადგან გვამოძრავებს სიყვარული საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ, გვინდა მეტი სიკეთე ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის და ვართ მართლები სამშობლოსთვის ბრძოლაში. ღმერთმა გაგვაძლიეროს ყველა საქმეში, რომელიც საქართველოს წინსვლას ემსახურება. დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს პრინციპულობისთვის და ერთსულოვნებისთვის.**

**ღმერთი ფარავდეს საქართველოს!“**

7.05.2024

## შალვა პაპუაშვილი: მას შემდეგ, რაც ბაიდენის ადმინისტრაციის სპიკერები გაჩუმდნენ, ლაპარაკი დაიწყო ევროკომისიის პრესსპიკერმა...



„შეგახსენებთ, რომ აშშ-ში მოქმედი უცხოური აგენტების რეესტრის წყალობით გავიგეთ, რომ თურმე ამერიკელი ლობისტები წერდნენ ევროპარლამენტის რეზოლუციებს. შეგახსენებთ, რომ ის რეზოლუციები, რომლებიც მიიღებოდა, აღმოვაჩინეთ, რომ დაწერილი ყოფილა ამერიკელი ლობისტების მიერ.

ასე რომ, არ ვიცი, ევროკომისიის პრესმდივანს ვინ უწერს განცხადებებს, თუმცა მგონი, მნიშვნელოვანია, რომ ევროკომისიის პრესსპიკერი კონცენტრირდეს იმაზე, რომ დღეს, მას შემდეგ, რაც აშშ-მა შეწყვიტა მავნე დაფინანსებები სხვა ქვეყნებში დეზინფორმაციის, ძალადობრივი ჯგუფების თუ პროპაგანდის დაფინანსება, რომელიც USAID-ის და სხვა არხებით ხორციელდებოდა, ევროკავშირის ბიუჯეტი იქცა პროპაგანდის, სიძულვილის ენის და ძალადობის წამახალისებლად.

ამიტომ ევროკომისიის პრესმდივანი თუ თავს კომპეტენტურად მიიჩნევს საქართველოს საკითხებზე სასაუბროდ, იქნებ გვიპასუხოს, აპირებენ თუ არა გადახედონ ისეთ დაფინანსებებს ევროკავშირის ბიუჯეტიდან, რომელიც მიედინება პოლიტიკურ პარტიებში და ეს დადასტურებულია, რომ EED-ის მეშვეობით, რომელიც ევროკომისიის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციაა და ფინანსდება ევროკომისიის მხრიდან, ევროკომისიის მიერ გამოყოფილი თანხებით ფინანსდებიან რადიკალური პოლიტიკური პარტიები, ფინანსდებიან რადიკალური პოლიტიკური ჯგუფები, ფინანსდება დეზინფორმაციული საშუალებები და ფინანსდება ანტიქართული პროპაგანდა. ამიტომ ამაზე გაგვცენ პასუხი, თუკი მაინცდამაინც საუბარი სურთ საქართველოსთან დაკავშირებით“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

## დრო დადგა, ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ დააფასოს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა

„ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები დააზიანა ბაიდენის ადმინისტრაციამ, რომელმაც აშშ-სა და ამერიკელი ხალხის ერთ-ერთ ყველაზე სანდო ქვეყანასთან, საქართველოსთან გააფუჭა ურთიერთობა. აშშ-ის ყოფილი ადმინისტრაცია ცდილობდა ხელისუფლების შეცვლას და ჩართული იყო საქართველოს ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრაში, აფინანსებდა მოძალადე ჯგუფებს, პროპაგანდას, დეზინფორმაციას. საქართველოს ეკლესიაზე თავდასხმას უფინანსებდა პირდაპირ იმ ჯგუფებს, რომლებიც თავს ესხმიან ქართულ ეკლესიას.

იმ ჯგუფებს, რომლებიც ყალბ იდეოლოგიას ავრცელებდნენ საქართველოში. ნახეთ, შეიცვალა ადმინისტრაცია, სადმე ნახეთ რომელიმე „ენჯეო“. ისინი ხომ ამბობენ, რომ ხალხის ინტერესებით არიან და ქართული „ენჯეოები“ არიან, სად არიან ის „ენჯეოები“, რომლებიც აქამდე ლგბტ პროპაგანდით იყვნენ დაკავებული? რატომ არ იღებენ ხმას? ამით ეწინააღმდეგებიან თავიანთი დამფინანსებლის ინტერესებს და ამიტომაც გაჩუმდნენ საბოლოო ჯამში.

ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები გააფუჭა წინა ადმინისტრაციამ, მათ შორის ხალხთან, რომელიც ყველაზე ძლიერად დაუდგა ბრძოლაში ამერიკელებს. ავღანეთში ჩვენ ვიყავით აბსოლუტური რიცხოვნობით მეოთხე ქვეყანა და ვიბრძოდით წინა ხაზზე. ახლა რომ ზოგიერთი ბალტიელი ქვეყანა ჭკუას გვასწავლის და თითქოს ომისკენ რომ იწევენ, 50 კაცით რომ იყვნენ წარმოდგენილი შტაბებში, ქართული ჯარი იყო 1 000 და 1 500-კაციანი კონტინგენტით ავღანეთში. აი ასეთ ხალხს, ბაიდენის ადმინისტრაციამ შეუჩერა სტრატეგიული პარტნიორობის დოკუმენტი, რომელიც თავის მხრივ ცარიელი ქაღალდი იყო, რადგან არაფერი სრულდებოდა, რაც შიგნით ჩადებული იყო, ქაღალდად იყო ქცეული წინა ადმინისტრაციის ხელში. ჩვენ ახალ ადმინისტრაციასთან ზუსტად ამ საკითხებზე გვაქვს კომუნიკაცია და მათ იციან ჩვენი მოლოდინები, რომ საჭიროა, გამოსწორდეს ის, რაც წინა ადმინისტრაციამ გააფუჭა. ჩვენ ამისთვის მზად ვართ, რომ გვქონდეს ჭეშმარიტი, სტრატეგიული პარტნიორობის ურთიერთობები. ის, რასაც ჩვენ 30 წელი ვაჩვენებდით ამერიკელ ხალხს, დადგა დრო, რომ ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამაც სათანადოდ შეაფასოს და დააფასოს“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

## „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ქაოსის, ომებისა და ნგრევის ეპოქაში“

ბრიტანული გაზეთის **„დეილი ტელეგრაფის“ (The Daily Telegraph)** 8 მაისის ნომერში გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„მსოფლიო დენთის კასრზე დგას, რომელიც ეს-ესაა აფეთქდება: ხანგრძლივი მშვიდობის პერიოდი დასრულდა, „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ქაოსის, ომებისა და ნგრევის ეპოქაში“** (ავტორი – **ალისტერ ჰითი,** „დეილი ტელეგრაფის“ საკვირაო გამოშვების – **„სანდეი ტელეგრაფის“ მთავარი რედაქტორი**).

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

The Daily Telegraph



**ვერ ვიტყვით იმას, რომ პროგრესის ეპოქაში ვცხოვრობთ. რომელ პროგრესზე შეიძლება ლაპარაკი, როცა გერმანულ ნაციზმზე გამარჯვების 80 წლისთავის დღეებში მსოფლიო მორიგ აპოკალიპტურ ხანძრისაკენ მიექანება, ხოლო ინდოეთ-პაკისტანს შორის შექმნილ ისედაც მწვავე ურთიერთდამოკიდებულებაში მორიგი სახიფათო ესკალაცია მოხდა. ამერიკულ თარგზე გამოჭრილი საერთაშორისო წესრიგი დარღვეულია და მისი აღდგენა ვეღარ მოხერხდება. მასთან ერთად გაქრა დასავლური თანამედროვეობის ილუზიები.**

**დღეს ბევრი ავლებს პარალელებს 1930-იან წლებთან, რომელსაც მეორე მსოფლიო ომი მოჰყვა. მართლაცდა, ახლა იმდენი კონფლიქტები მიმდინარეობს, რომლებიც იოლად შეიძლება გადაიზარდონ საშინელ გლობალურ ომში.**

ჩვენ ჯერ კიდევ ზუსტად არ ვიცით, როგორ განვითარდება და დასრულდება ინდოეთ-პაკისტანის საომარი დაპირისპირება ქაშმირში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო, ან რას მოიმოქმედებს ვლადიმერ პუტინი უკრაინის წინააღმდეგ ომში და შეიჭრება თუ არა ჩინეთის არმია ტაივანზე. მაგრამ რაც თითქმის უეჭველია, არის ის, რომ დიდი ომი ახლოვდება, რომელსაც შეიძლება მესამე მსოფლიო ომი ვუწოდოთ და ძალიან სამწუხაროა, რომ არ არსებობს არავითარი მექანიზმი და არანაირი ალიანსი მის შესაჩერებლად.

სიტუაცია გამოუვალი და უიმედოა. გრძელვადიანი მშვიდობა, როგორც ჩანს, ისტორიული შემთხვევითობა აღმოჩნდა, რომელსაც განაპირობებდა აშშ-ის ეფემერული უპირატესობა ცივ ომში და არა კაცობრიობის გონივრული სწრაფვა მშვიდობის განმტკიცებისათვის, როგორც ამას დასავლური პოლიტიკური ელიტები გვიმტკიცებენ. ის ვაკუუმი, რომელიც აშშ-ის უკანდახევის შედეგად გაჩნდა, მრავალპოლუსიანმა ქაოსმა შეავსო. მსოფლიოს გლობალური პოლიციელი აღარ ჰყავს.

იხ. 4 გვ.

# „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ქაოსის, ომებისა და ნგრევის ეპოქაში“

**საერთაშორისო ორგანიზაციები გადაიქცნენ კორუმპირებულ გაერთიანებებად ან ისინი ძლიერი სახელმწიფოების მძევლები გახდნენ. საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნები არ სრულდება. მარქსისტული ლიდერების გავლენა მატულობს. ევროკავშირი თავის ეკონომიკას თვითონვე ანგრევს. გლობალური სამხრეთი დასცინის დამპალ დასავლეთს და ტრამპის სულელურ მოქმედებას. ჩინეთის ლიდერი კი მოსკოვში თავის ვასალს — რუსეთის პრეზიდენტს ხვდება.**



**დიდი ომი ახლოვდება, რომელსაც შეიძლება მესამე მსოფლიო ომი ვუწოდოთ და ძალიან სამწუხაროა, რომ არ არსებობს არავითარი მექანიზმი და არანაირი ალიანსი მის შესაჩერებლად**

(მესამე გვერდიდან) ის საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, აბსოლუტურად უსარგებლოდ აღმოჩნდა. ისინი მხოლოდ აშშ-ის ძლიერების დროს იყვნენ სიცოცხლისუნარიანნი და როგორც კი ვაშინგტონმა უკან დაიხია, მათ ეფექტურობასაც ბოლო მოეღო. საერთაშორისო ორგანიზაციები გადაიქცნენ კორუმპირებულ გაერთიანებებად ან ისინი ძლიერი სახელმწიფოების მძევლები გახდნენ. საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნები არ სრულდება. მარქსისტული ლიდერების გავლენა მატულობს. ევროკავშირი თავის ეკონომიკას თვითონვე ანგრევს. გლობალური სამხრეთი დასცინის დამპალ დასავლეთს და ტრამპის სულელურ მოქმედებას. ჩინეთის ლიდერი კი მოსკოვში თავის ვასალს – რუსეთის პრეზიდენტს ხვდება.

**ამერიკა უკვე აღარ არის იმდენად მდიდარი და ძლიერი, რომ საერთაშორისო მშვიდობა შეინარჩუნოს. და რომც მოისურვოს, ის ამას ვეღარ შეძლებს. მისი მცდელობები, რომ ეს 11 სექტემბრის შემდეგ გაეკეთებინა, კრახით დასრულდა – მაგალითად, მისი ჩარევები ლიბიაში და ავღანეთში. აშშ-ის რწმენა საკუთარი თავის მიმართ დარღვეულია. წლების განმავლობაში მომხმარებლურმა პოლიტიკამ და იმპორტმა ამერიკა სხვებზე დამოკიდებულ ქვეყნად გადააქცია, რომელმაც ვაშინგტონს არასასურველი გეოპოლიტიკური შედეგები მოუტანა.**

**გადაჭარბებული ვალები და არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები აშშ-ის „აქილევსის ქუსლად“ იქცა. დონალდ ტრამპის ამომრჩევლებს აღარ სურთ საზარბაზნე ხორცად ყოფნა უსასრულო საზღვარგარეთულ ომებში. ტრამპი სულ უფრო იხრება მონროს დოქტრინისაკენ, რომელიც აშშ-ის გავლენას მხოლოდ ამერიკის კონტინენტზე გულისხმობს (პანამის, კანადისა და გრენლანდიის ჩათვლით). ტრამპმა ევროპა პუტინს დაუტოვა, აზია კი – სი ძინპინს. მართალია, ფორმალურად თეთრ სახლს თითქოს არ სურს ჩინეთის მიერ ტაივანის დაპყრობა, მაგრამ სინამდვილეში ტრამპს ტაივანის ბედი სულაც არ აინტერესებს – იგი იჯერებს ისეთ ზღაპრებს, რასაც მას პუტინი უყვება.**

**საბჭოთა კავშირის დაშლამ და ცივი ომის დასრულებამ აშშ-ზე და ევროპაზე ცუდი გავლენა მოახდინა – უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ისინი მიეჩვივნენ იმ აზრს, რომ ძლიერი მოწინააღმდეგე აღარ ჰყავთ, საკუთარ კეთილდღეობას და სოციალური დონის გაუმჯობესებას მეტი ყურადღება დაუთმეს, თავდაცვაზე და უსაფრთხოებაზე ზრუნვა კი შეასუსტეს. ალიანსები შემოიფარგლნენ სადღაც, რომელიღაც ქვეყანაში ამბოხებულების წინააღმდეგ ბრძოლებით, იარაღის ქარხნები დახურეს, ახლა კი ევროპას საკმარისი რაოდენობის რაკეტები და საბრძოლო მასალები აღარ აქვს. ერთმანეთთან შეთავსებული პათოლოგიური მულტიკულტურალიზმის, პაციფიზმის ზრდით და გაღვიძებული ანტიპატრიოტიზმის შედეგად დასავლეთი უფრო ნაკლებად ბრძოლისუნარიანია, ვიდრე ეს 1930-იანი წლების გადაიარაღების წინ იყო.**

ჩვენი მოწინააღმდეგეების მდგომარეობა სრულიად განსხვავებულია: გლობალურ სამხრეთში სწრაფად მატულობს კეთილდღეობის დონე მას შემდეგ, რაც იქაურმა ქვეყნებმა განვითარებისათვის კაპიტალიზმის თანამედროვე, „მოდერნიზებული“ ვარიანტები აირჩიეს. ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ წინსვლას, ერთი შეხედვით, ლიბერალური ფასეულობების დამკვიდრებას ომების და ავტორიტარული მმართველობების თავიდან აცილება უნდა გამოეწვია, მაგრამ ასე არ მოხდა.

**ჩინეთმა არ მიიღო დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლების იდეები. სამაგიეროდ, ქვეყანამ თავისი სიმდიდრე იარაღად გადააქცია, რომ მსოფლიოში მეორე სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფო გამხდარიყო. პეკინმა თავისი მოწინავე ტექნოლოგიები პოლიტიკური დევნისათვის გამოიყენა, რომ „დისიდენტები“ მუდმივად თვალთვალისა და კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა. ჩინეთი რაც უფრო მდიდრდება, მით უფრო სახიფათო ხდება. არ გამართლდა თომას ფრიდმანის თეორია, რომ ქვეყნები, რომლებშიც მაკდონალდსის სწრაფი კვების ქსელია, ერთმანეთთან არ იომებენო – ეს იდეა ჯერ კოსოვოს ამბებმა (1999 წელს, ნატოს მიერ იმდროინდელი იუგოსლავიის დაბომბვით), შემდეგ კი, 2022 წელს, კრემლის ჯარების უკრაინაში შეჭრით „ამოყირავდა“.**

ახლად გამოღვიძებული იდიოტები თავს იკატუნებენ და აცხადებენ, რომ მხოლოდ დასავლეთია ექსპანსიონისტი და რასისტი, რაც, ცხადია, შეცდომას წარმოადგენს. დღეს რუსეთს უკრაინის ხელში ჩაგდება სურს, ჩინეთს – ტაივანის დაპყრობა-მიერთება, ირანს კი, რომელიც „ჰამასს“ და „ჰეზბოლას“ აფინანსებს, ახლო აღმოსავლეთის გაკონტროლება და ისრაელის განადგურება. იმპერიალიზმის შერწყმა ეთნიკურ სიძულვილთან დღეს ისევევ დამღუპველია, როგორც 1930-იან წლებში იყო.

ძალთა ბალანსის დაცვა კიდევ უფრო რთულდება ასიმეტრიული ომების მასშტაბების ზრდით: პატარა დრონებს, კერძოდ, დიდი ზიანის მიყენება შეუძლიათ უფრო ძლიერი ქვეყნებისათვის და მსოფლიოს დესტაბილიზებისათვის. ეს მხოლოდ დროის საკითხია: **შეიძლება პატარა დრონმა ისეთი რამ მოახდინოს, რაც 1914 წელს ავსტრიელი ერც-ჰერცოგ ფერდინანდის მკვლელობამ გამოიწვია.**

მეორე მსოფლიო ომამდე ბევრი შედარებით მცირე კონფლიქტი იყო მომხდარი, მაგალითად, იაპონიის არმიის შეჭრა მანჯურიაში, იტალიელების შეჭრა ეთიოპიაში, ავსტრიის ანშლუსი მესამე რაიხის მიერ. მსგავსი საგანგაშო სიგნალები ჩვენს დროშიც ვრცელდება – დაწყებული რუსეთის ყირიმში შეჭრით 2014 წელს, ბარაკ ობამას მმართველობის დროს, რაც მსოფლიოს ქაოსად გადაქცევისათვის გადამწყვეტ მომენტად იქცა. მას მოჰყვა ომი ეთიოპიაში – ტიგრაელ სეპარატისტთა დასასჯელად, რუსეთის შეჭრა უკრაინაში და ისრაელის შეტევა „ჰამასის“ წინააღმდეგ ღაზას სექტორში. ამ ყველაფერმა გააძლიერა ომების მსხვერპლთა ზრდის ტენდენცია.

**დღევანდელი გადასახედიდან სასწაულად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ უკრაინის ომამდე ევროპელთა, ჩრდილოამერიკელთა და ავსტრალიელთა თითქმის სამი თაობა ცდილობდა, თავი აერიდებინათ სარაკეტო შეტევებისათვის, ბირთვული თუ ბიოლოგიური ომების ჯოჯოხეთისათვის და სამხედრო სამსახურში მასობრივი გაწვევებისათვის. დღეს კი რაზე ვფიქრობთ? მზად ვართ, ვუღალატოთ არამარტო ჩვენს ვეტერანებს, არამედ ჩვენს შვილებსაც? ისინი, რომლებმაც თავის დროზე საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირეს ნათელ მომავალს, უკეთესს იმსახურებენ, ვიდრე იმას, რომ ჩვენ მათი მემკვიდრეობა დავანგრიოთ.**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

## გია ვოლსკი:

# მსოფლიო იცვლება, საფრთხეები რეალურია და ამ საფრთხეებს პრაგმატული პოლიტიკა უნდა დავუპირისპიროთ

**„მთელ მსოფლიოში დაუნდობელი ომი მიმდინარეობს, საქართველო ამ დაპირისპირების ერთ-ერთი სეგმენტია.**

**უსამართლობასთან ერთად, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ცივსისხლიან პრაგმატიზმზეც, რომელიც ასეთი აქტის მიღებას განაპირობებს. საქართველოს ხელისუფლება, რომელიც თავისი ქვეყნის და ხალხის ინტერესებისთვის ზრუნავს, ხშირ შემთხვევაში თავისი საგარეო პოლიტიკით არ ემთხვევა იმ პოლიტიკას, რომელიც ბრიუსელს გააჩნია ომის პირობებში, რომელიც დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს. გარკვეულწილად, ეს კონგრესის გადაწყვეტილებაში აისახა.**

**იმედს ვიტოვებთ, საბოლოო ჯამში, საღი აზრი გაიმარჯვებს, ვინაიდან ისტორიის არცერთ ეტაპზე ჩვენ, როგორც მოკავშირეს, არ გვიღალატია მთავარი პრინციპისთვის, გინდათ, ამერიკის შეერთებული შტატების გვერდზე დგომით და თუნდაც იმ ევროპული ფასეულობების დაცვით, რაც საქართველოში დღეს არსებობს და ასეთი თვალნათელია. ჩვენ მართლები ვართ ჩვენი ხალხის და ჩვენი დასავლელი პარტნიორების წინაშე. ამ გადაწყვეტილებებს თუკი განაპირობებს გარკვეული პოლიტიკური კონიუნქტურა, ამასაც მყარად, საღი აზრით და საზოგადოებისადმი რეალური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებით უნდა შევხვდეთ. ეს არის ის ფორმულა, რომელსაც დღეს მივყვებით“**, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

მისი თქმით, „დიფ სთეითის“ შტაბბინამ ბრიუსელში გადაინაცვლა.

**„მსოფლიო იცვლება, საფრთხეები რეალურია და ამ საფრთხეებს პრაგმატული პოლიტიკა უნდა დავუპირისპიროთ, ისევე როგორც ჩვენ გვიპირისპირდება პრაგმატული და ცივსისხლიანი პოლიტიკა. საქართველოში გარკვეული ძალა არსებობს, რომელიც გლობალური ომის პარტიას სრულად ექვემდებარება, რომელიც მსოფლიოს მართვის პრეტენზიას აცხადებს. იმედი გვაქვს, ეს ძალა ამერიკის ახალ ადმინისტრაციასთან ბრძოლაში დამარცხდება.“**, – განაცხადა **გია ვოლსკიმ.**

## გურამ მაჭარაშვილი:

# ამერიკაშიც ბოლომდე არ არის დამარცხებული „დიფ სთეითი“

**„ე.წ. მეგობარი აქტი ქართველი ხალხისთვის მორიგი ტესტია, რამდენად და რეალურად ებრძვის ტრამპის ადმინისტრაცია „დიფ სთეითს“. ქართველი ხალხისთვის შეხედულებას და სახელგვარს კი არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება სხვა ქვეყნის ხელისუფლებაში, მთავარია, რა პოლიტიკას აწარმოებს. იმედი გვაქვს, ტრამპი შეძლებს, მინიმუმამდე დაიყვანოს „დიფ სთეითის“ გავლენა.**

**ევროკომისიის განცხადებას რაც შეეხება, „მეგობარ აქტში“ წერია, რომ ქართველმა ხალხმა რადგან არ დააკანონა კაცების ქორწინება, რასაც ითხოვდნენ, ასევე მეორე ფრონტი არ გახსნა, ბრიუსელს სუვერენიტეტი არ გადასცა და მოსამართლეების უცხოეთიდან დანიშვნაზე უარი თქვა, უნდათ, რომ სავარაუდო სანქცირების სისტემა შემოიღონ.**

**სანქციებით, სუვერენიტეტის გაუქმებით და ომით თუ მემუქრები, რომელ მეგობრობაზეა საუბარი? ქართველმა ხალხმა ეს კარგად დაინახა. ამ აქტის მიღება თუ მოხდება, ქართველი ხალხი სახელმწიფოს მიმართ შეურაცხყოფად მიიღებს.**

**ამიტომ, იმედი გვაქვს, დაინახავენ, რომ მუქარებს და სანქციებს შედეგი არ აქვს, პირიქით, სუვერენიტეტის დაცვისთვის ქართველი ხალხის მობილიზება უფრო ხდება“**, – განაცხადა **გურამ მაჭარაშვილმა.**

# დასავლური აზროვნების მსოფლიო მეცნიერი

**ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა.** 98 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, თანამედროვე მათემატიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, მათემატიკის ახალი დარგის – მართვის ოპტიმალური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი **რევაზ გამყრელიძე.**

**რევაზ გამყრელიძე** დაიბადა 1927 წლის 4 თებერვალს ქუთაისში. 1945 წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი. ერთი წლის შემდეგ სასწავლებლად გადავიდა მოსკოვში, სადაც დაამთავრა მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1950 წ.) და ასპირანტურა (1953 წ.). იმავე წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1960 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1953-1988 წლებში იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 1988-1997 წლებში – დიფერენციალური განტოლებების განყოფილების გამგე, 1997 წლიდან გარდაცვალებამდე – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მრჩეველი.

1969 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 1981 წელს – სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2003 წელს – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

რევაზ გამყრელიძემ, თავის მასწავლებელთან, გენიალურ ლევ პონტრიაგინთან ერთად, მათემატიკის ახალ დარგს, მართვის ოპტიმალურ თეორიას ჩაუყარა საფუძველი.

მართვის ოპტიმალური თეორია კლასიკურ ვარიაციათა აღრიცხვის განზოგადება და მისი მეთოდების გაფართოებაა. ვარიაციათა აღრიცხვას საფუძვლად უდევს უმცირესი ქმედების პრინციპი, ოპტიმალური მართვის თეორიას კი პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპი, რომელიც თავიდან ჰიპოთეზის სახით იყო ჩამოყალიბებული. რ.გამყრელიძემ დაამტკიცა მაქსიმუმის პრინციპი მართვის წრფივი სისტემებისათვის და ააგო წრფივი სისტემების დასრულებული თეორია. ამ თეორიაში, რომელიც უკვე კლასიკურადაა აღიარებული, გამოვლენილი იყო ოპტიმალური მართვის არსი: ამოზნექილობის როლი, წრფივი სისტემების მნიშვნელობა, ოპტიმალური სინთეზის ხასიათი, რეგულარობის პირობის სახე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რ.გამყრელიძის მიერ აგებულმა წრფივმა თეორიამ დიდი ხნით განსაზღვრა საგნის სახე, ხოლო მისი გამჭვირვალობა და სისრულე დღემდე ნიმუშად რჩება უფრო რთული, არაწრფივი სისტემების მკვლევარებისათვის.

რ.გამყრელიძემ შემოიღო ოპტიმიზაციის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნება – მცოცავი ოპტიმალური რეჟიმი, რომელიც მან საფუძვლად დაუდო პირველი რიგის აუცილებელი პირობების ზოგად აქსიომატურ თეორიას ოპტიმალური ამოცანებისათვის.

მონოგრაფიას, რომელშიც აისახა ოპტიმალური მართვის მათემატიკური თეორია, 1962 წელს იმ დროის უმაღლესი ჯილდო – ლენინური პრემია მიენიჭა.

შრომათა ციკლი, რომელიც რევაზ გამყრელიძემ ალგებრულ გეომეტრიასა და ალგებრულ ტოპოლოგიაში შეასრულა, კლასიკურადაა აღიარებული. მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკის ამ დარგების კვლევის მეთოდებმა არსებითი ევოლუცია განიცადა, რ.გამყრელიძის მიერ კომპლექსური ალგებრული მრავალსახეობის მახასიათებელი კლასების მრავალსახეობის პროექციული ინვარიანტების საშუალებით გამოსახვა და ამ კლასების ალგებრულობის დამტკიცება ისეთი საკითხია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის დარგის ვერც ერთი სპეციალისტი.

ცალკე აღსანიშნავია აკად. რ. გამყრელიძის პედაგოგიური მოღვაწეობა ვ.მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბატონი რეზოს მრავალრიცხოვანი მოსწავლეები მოღვაწეობენ მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-სასწავლო ცენტრში, მათ შორის საქართველოშიც. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი ხელმძღვანელობდა ცნობილ სემინარს მოსკოვის უნივერსიტეტში და ძნელად მოიძებნება მომდევნო პერიოდის გამორჩეული მათემატიკოსი, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ამ სემინარის მონაწილე არ ყოფილიყო. სამეცნიერო სემინარი საბჭოთა კავშირის (ხოლო შემდეგ რუსეთის) მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, რომელსაც რ.გამყრელიძე ლევ პონტრიაგინის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მისი სამეცნიერო მემკვიდრე ხელმძღვანელობდა, გამორჩეული იყო



## რევაზ გამყრელიძის არდავიწყება

თავისი სტილით და აგრძელებდა იმ დიდ ტრადიციებს, რომელიც ელიტური მოსკოვური მათემატიკური სკოლების უნიკალურობას უსვამდა ხაზს. დარგის მსოფლიოს ყველა წამყვანი სპეციალისტი თავს ვალდებულად თვლიდა და ცდილობდა ახალი შედეგებით წარმდგარიყო დარგის ფუძემდებლის, რევაზ გამყრელიძის სემინარზე. გონიერ ადამიანს, სპეციალისტი იქნება იგი თუ უბრალო მსმენელი, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი მოხსენების ან ლექციისათვის, გულგრილს ვერ დატოვებს ბატონი რეზოს თხრობის ელეგანტური და აზრის განვითარების ნათელი სტილი.

ოპტიმალური მართვის საფუძვლების ცნობილი სახელმძღვანელო, რომელსაც საფუძვლად დაედო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რ. გამყრელიძის მიერ წაკითხულ ლექციათა ციკლი და რომელიც ორჯერ გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ხოლო შემდეგ ითარგმნა ინგლისურად და გამოსცა ამერიკულმა გამომცემლობა „პლენუმ პრესმა“, არის ზოგადმათემატიკური ტრაქტატი, რომელიც მსოფლიო საუნივერსიტეტო კურსების საუკეთესო ტრადიციების მატარებელი სახელმძღვანელოა. ასეთი სახელმძღვანელოს შექმნას ხელი შეუწყო რუსული, ამერიკული და ევროპული მათემატიკური განათლების სისტემების თანმიმდევრულმა ცოდნამ. ბატონი რეზო მეგობრობდა ამერიკელ და ევროპელ იმ მეცნიერებთან, რომლებიც თავიანთი ქვეყნების სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის სათავეებში იდგნენ. რამდენიმე ძველი თაობის დასავლელი მეცნიერი თავის მემუარებში მოიხსენიებს ახალგაზრდა მათემატიკოსს – რევაზ გამყრელიძეს, როგორც დასავლური ტიპის მოაზროვნეს და მეცნიერს. რევაზ გამყრელიძეს ლექციათა კურსები წაკითხული აქვს მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტსა და სამეცნიერო ცენტრში. „ცივი ომის“ პერიოდში რ.გამყრელიძეს თავიანთ უნივერსიტეტებში, ლოს ანჯელესსა და ნიცაში უმასპინძლეს ლეგენდარულმა მათემატიკოსებმა რიჩარდ ბელმანმა და ჟან დიედონემ.

რ. გამყრელიძის ფართო ხედვა მეცნიერებაში კიდევ ერთხელ გამოვლინდა მათემატიკურ მეცნიერებათა გამოცემების მთავარ რედაქტორად მისი მუშაობის პერიოდში საბჭოთა კავშირის (ამჟამად რუსეთის) მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მრავალტომიანი გამოცემები მათემატიკის ყველა დარგში, რომელთა თემატიკას და ავტორებს რ.გამყრელიძე არჩევდა, საკმაოდ პოპულარული გახდა შინაარსის მრავალფეროვნებისა და გადმოცემული მასალის სისრულის გამო. სერია „მათემატიკის თანამედროვე პრობლემები: ფუნდამენტური მიმართულებები“ გამომცემლობა „შპრინგერმა“ ინგლისურ ენაზე თარგმნა და გამოსცა ას ტომად! დღემდე პოპულარული გამოცემა მათემატიკურ საზოგადოებაში ცნობილია „მწვანე ენციკლოპედიის“ სახელწოდებით და ითვლება, რომ თუკი მათემატიკის რომელიმე დარგის მიღწევების გაცნობა, გინდა, უნდა მიმართო გამყრელიძის „მწვანე ენციკლოპედიას.“ რევაზ გამყრელიძის დიდი ავტორიტეტი და გავლენა მათემატიკურ საზოგადოებაზე განაპირობებდა პირველხარისხოვანი ავტორების მოზიდვას კონკრეტულ თემატიკაში.

სიცოცხლის ბოლომდე, რევაზ გამყრელიძე იყო მისივე დაფუძნებული რამდენიმე მაღალრეიტინგული ჟურნალის მთავარი რედაქტორი, რომელსაც გამოსცემს „შპრინგერი“. „შპრინგერი“ გამოსცემს აგრეთვე რევაზ გამყრელიძის ინიციატივით საქართველოში დაარსებულ ზოგადმათემატიკურ ჟურნალს.

საქართველოში ოპტიმალური მართვის მათემატიკური თეორიის კვალიფიციური კადრების მომზადების სფეროში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რ.გამყრელიძის მიერ 1968 წელს დაარსებულმა კათედრამ, რომლის პირველი გამგე თვითონ იყო. ამჟამად საქართველოს უნივერსიტეტებში ამ კათედრაზე მომზადებული მრავალი პროფესორი წარმატებით მოღვაწეობს. მნიშვნელოვანია აგრეთვე რ.გამყრელიძის დამსახურება საინჟინრო მიმართულების მართვის თეორიის სპეციალისტების ჯგუფის ჩამოყალიბებაში.

რევაზ გამყრელიძეს მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია.

უკანასკნელ პერიოდში რევაზ გამყრელიძის სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავდა მაქსიმუმის პრინციპის ინვარიანტულ ფორმულირებას, ჰამილტონურ ფორმალიზმს მართვის თეორიაში, ოპტიმალური მართვის გეომეტრიულ თეორიას. ამ პერიოდში მისი და მისი მოწაფეების მიერ განვითარებულმა გეომეტრიულმა მეთოდებმა გამოყენება პოვა კვანტური სისტემების მართვის თეორიაში. გამყრელიძის მეორე ვარიაციის ფორმულები, კვადრატული ასახვის ტოპოლოგიური ინვარიანტები, ქრონოლოგიური აღრიცხვა მუდმივად გვხვდება თანამედროვე მათემატიკის სხვადასხვა, ერთი შეხედვით ერთმანეთისაგან შორს მდგომ დარგებში.

რ. გამყრელიძემ დიდი წვლილი შეიტანა რუსეთ-საქართველოს სამეცნიერო კავშირების განმტკიცებაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველ მეცნიერთა ნაყოფიერი თანამშრომლობა ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტთან.

დიდი იყო აკად. რ. გამყრელიძის ავტორიტეტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, განსაკუთრებით მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში. ბატონი რეზოს ობიექტური, პრინციპული სიტყვა არაერთხელ დაეხმარა განყოფილებას საქმიანობის სწორად წარმართვაში.

წავიდა ჩვენგან ქართული მეცნიერების დიდი წარმომადგენელი, მაგრამ გავა წლები და დავიწყებას არ მიეცემა აკადემიკოს რევაზ გამყრელიძის – თვალსაჩინო მეცნიერის, მრავალმხრივ შემკობილი პიროვნების სახელი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა თვალსაჩინო მაგალითია იმ დიდი წვლილისა, რაც მან მეცნიერების განვითარების საქმეში შეიტანა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დიდ მწუხარებას გამოთქვამს აკადემიკოს რევაზ გამყრელიძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს. რევაზ გამყრელიძის ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების ხსოვნაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**

**აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება**

# მზადება ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემისთვის

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც გულისხმობს დიდი მეცნიერისა და მოღვაწის, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მუშაობას.**



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ღონისძიება გაიმართა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ივანე ჯავახიშვილის მემორიალურ კაბინეტში. პირველი ტომის გამოცემა დაგეგმილია 2026 წელს, დიდი მეცნიერის დაბადების 150 წლისთვის.

ამ მნიშვნელოვან წამოწყებას საფუძველი დაედო ჯერ კიდევ 2021 წლის ნოემბერში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის ხელმოწერილი შეთანხმებით. ამჟამად ამ შეთანხმებას უერთდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა,** აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ,** პროფესორმა **ზაზა აბაშიძემ.**

დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოსები **როინ მეტრეველი, ჯაბა სამუშია, პროფესორები ზაზა აბაშიძე, გონელი არახამია, ზაზა სხირტლაძე, ვალერი ვაშაკიძე.** სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს აკადემიკოსი როინ მეტრეველი, თანათავმჯდომარედ – აკადემიკოსი **ჯაბა სამუშია.**

**ონომასტიკა გამოკვეთილად ეროვნული დარგია. ერის მეობისა და ისტორიის ერთ-ერთი ძლიერი დოკუმენტია ტოპონიმი. მისი არსი არაერთი მეცნიერის მიერაა გამოხატული. განსაკუთრებულია თავად ქეთევან გოდერძიშვილის სიტყვები: „ტოპონიმი უსხეულო სამოსია მატერიალური მიწისა, ანუ ტოპონიმი დედამიწის სამოსია. თუ მათი – ადგილისა და მისი აღმნიშვნელი ტოპონიმის – ეროვნული მეობა ერთმანეთს თანხვდება, კერძოდ, ქართული მიწა ქართული სიტყვით, ქართული სახელითაა დაფიქსირებული, ეს სახელი შეიძლება მიჩნეულ იქნეს „ღვთაებრივ სამოსადაც ... ტოპონიმების, როგორც ჩვენი ეროვნული მყოფობის ნიშან-კოდების, დანიშნულებაა, უსხეულო დარაჯებივით იცავდნენ ქართული მიწის ეროვნულ მეობას... ასე რომ, ქართულენოვანი ტოპონიმი, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ერთგვარი „პირადობის მოწმობა“ გახლავთ ქართული მიწისა“ (ქ.გოდერძიშვილი).**

# ეროვნული დარგის გამორჩეული მკვლევარი



## ქეთევან გოდერძიშვილი

## ქართული ონომასტიკის თეორეტიკოსი

**არ არის გასაკვირი, რომ სწორედ ამ სიტყვების ავტორს და მხოლოდ მას შეემუშავებინა და წარმოედგინა დარგის თეორია. 2005 წელს პროფ. პაატა ცხადაია თავის „ონომასტიკის შესავალში“ წერს: „...მაგრამ მონოგრაფია „თეორიული ონომასტიკა“ ჯერ არ ჩანს.“**

უნდა ითქვას: ეს ხარვეზი ნამდვილად შევსებულია ქ. გოდერძიშვილის ორი მონოგრაფიით:

I. „ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები.“

II. „თეორიული სიახლენი ტოპონიმიკაში“.

თეორიული ონომასტიკის შექმნა სიახლეა **ონომასტიკაშიც** და **ენათმეცნიერებაშიც.**

I. „ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები“ სწორედ მისი **თეორიული ღირებულებების** გათვალისწინებით, თავად ბატონმა პაატამ აღიარა სახელმძღვანელოდ ? **რომლის ბადალი ონომასტიკის ამ დარგში არც მოგვეპოვებაო** და ავტორს უწოდა – „ონომასტიკური ცენტრის ვარსკვლავი!“ ამ მონოგრაფიას კიდევ არაერთი მაღალი შეფასება მოჰყვა. სპეციალისტებმა ვუწოდეთ მას „სამაგიდო წიგნი“ და აღვნიშნეთ, რომ „ონომასტიკაში მომუშავე ადამიანს ამ მონოგრაფიის გარეშე გაუჭირდება რაიმე ფასეულის შექმნა ამ დარგში“. მონოგრაფიის ავტორს უწოდეს: „პირველხარისხოვანი ონომასტიკოსი“, „ანთროპონიმიის დიდი მკვლევარი“... დაიწერა ისიც, რომ ამ ნაშრომის „თითოეული პარაგრაფი ახალი ფურცელია ქართულ ონომასტიკაში.“

**მაგრამ ხმამაღლა არასოდეს თქმულა ერთი მნიშვნელოვანი სტატუსი, რომელიც უდავოდ ეკუთვნის პირადად ქ. გოდერძიშვილს, როგორც ონომასტიკოსს. კერძოდ, ონომასტიკა რომ ენათმეცნიერების დარგია, აქედან გამომდინარე, ყველა ონომასტიკოსი რომ ლინგვისტია, ეს ცნობილია, მაგრამ ქეთევან გოდერძიშვილს, როგორც ონომასტიკოსს, გარდა ენათმეცნიერისა, სხვა სტატუსიც ეთანადება, რაც ჩვენთვის, მისი კოლეგებისთვის, „არ ახალია.“**

საქმე ისაა, რომ ქ. გოდერძიშვილის საკანდიდატო დისერტაციის თემა გახლდათ „პერსონაჟთა საკუთარი სახელები.“ ავტორმა ეს საკითხი შემდეგ განავრცო მონოგრაფიით „ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები.“ და ლიტერატურულ პერსონაჟთა ანალიზი წარმოგვიდგინა **არაოდენ მათი სახელდების ლინგვისტური კუთხით,** არამედ, სოციალური, ანთროპოლოგიური, ეთნოლოგიური, რელიგიური, ლიტერატურული და ისტორიული ასპექტებით. ეს აღუნიშვნელი არ დარჩენილა. ერთი ცნობილი ონომასტიკოსი წერს: „ამ წიგნში პირველად ჩვენს მეცნიერებაში მონოგრაფიულად არის შესწავლილი ქართული ლიტერატურის პერსონაჟთა ანთროპონიმიკა ისტორიულ ჭრილში.“

საგანგებოდ ხაზგასასმელია ისიც, რომ ეს მრავალმხრივი კვლევა ეყრდნობა არა ერთი და ორი, თუნდაც დიდი მწერლის თხზულებების ანალიზს, არამედ **ქართული მწერლობის 15-საუკუნოვან პერიოდს,** რომელშიც დიდი მწერალიც შედის და მცირეც და ესაა ძარღვი ქართული მწერლობისა. არცერთ ლიტერატურათმცოდნეს ასე მასშტაბურად არა აქვს გამოკვლეული ამ 15-საუკუნოვანი პერიოდის ყველა ქართული მხატვრული თხზულება ისეთი უმნიშვნელოვანესი და საინტერესო ასპექტით, როგორიცაა პერსონაჟთა სახელდების პრინციპი. დავიმოწმებთ ქ. გოდერძიშვილის სიტყვებს: „მწერლისთვის შემოქმედებითი პროცესია როგორც პერსონაჟის ხასიათისა და მსოფლმხედველობის გამოკვეთა, ისე მისი სახელდებაც... ანთროპონიმის შერჩევას ავტორის მსოფლმხედველობასთან, გემოვნებასთან... ერთად განაპირობებს ამბავი, პერსონაჟის სოციალური წრე, მოქმედების დრო და ლოკალი... ამიტომ მწერლები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან პერსონაჟის სახელდების ფაქტს, როგორც მათი შემოქმედების მნიშვნელოვან ეტაპს. როცა **მწერალი ქმნის პერსონაჟს, მის მხატვრულ სახეს სრულყოფს სახელდებით.**“

„სწორედ ამ ზღვა ლიტერატურულ მასალას ეფუძნება ჩემი 40-წლიანი კვლევა, რისი დასტურიცაა შესატყვისი სათაურები ჩემი მონოგრაფიიდან“, – წერს ავტორი და ასახელებს: 1) „მწერალი და პერსონაჟის საკუთარი სახელი“, 2) „სახელი და ხასიათი (ეხება ვაჟა-ფშაველას პერსონაჟებს), 3)პერსონაჟის სოციალური, საზოგადოებრივი და პიროვნული ღირსების ასახვა ანთროპონიმით და ა.შ. ასე რომ, **ენათმეცნიერ-ონომასტიკოსებს შორის ქ. გოდერძიშვილი გამოკვეთილად ლიტერატურათმცოდნეცაა** ლიტერატურული თხზულებების (V-XIX სს) დამუშავებით.

II. ანალოგიური ღირებულებისაა მონოგრაფია „თეორიული სიახლენი ტოპონიმიკაში“. აქ განხილული საკითხები ახალი სიტყვაა ამ დარგში.

სწორედ ამ ორი ფუნდამენტური ნაშრომით, ამ ორი მონოგრაფიით შეიკრა თეორიული ონომასტიკა, რაც არ არის რიგითი მოვლენა. ხაზგასმით გასათვალისწინებელია, რომ ორივე მეცნიერული სიახლეა, **ორივე ორიგინალური თეორიული ნაშრომია!**

ონომასტიკას, როგორც დარგს, 1964 წელს საფუძველი ჩაუყარა პროფ. ალექსანდრე ღლონტმა (იხ. შ. ძიძიგური, ს. ჯიქია, ნ. ყაუხჩიშვილი, ივ. იმნაიშვილი, ი. მეგრელიძე, ალ. ონიანი, კ. დანელია, ი. მაისურაძე, ლ. კვაჭაძე, თ.უთურგაიძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჯიქია...), რასაც მოჰყვა ამ დარგის შემდგომი განვითარება თსუ ონომასტიკის ლაბორატორიაში (1969 წ.). სწორედ ამ სამეცნიერო ლაბორატორიის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ქეთევან გოდერძიშვილმა შექმნა ონომასტიკის თეორიული სისტემა, რაც გამოიხატება ონომასტიკაში მის მიერ წარმოდგენილი თეორიული სიახლეების სიმრავლით, რასაც შესატყვისად მოჰყა ავტორისეული ტერმინოლოგია, როგორც მისი მეცნიერული სიახლეების ზედნაშენი.

ქ. გოდერძიშვილის მიერ შემოთავაზებულ **თეორიულ სიახლეთაგან,** რომლებიც მანამდე ქართულ ონომასტიკაში არ ფიგურირებდა, წარმოვადგენთ ნაწილს, ესაა:

**1)** მეტსახელთა კვლევა. მეტსახელებს უწოდებდნენ ყოველგვარი ფორმისა და შინაარსის მეორე სახელდებას (ოთარაანთ ქვრივი/დიდი ვასოს ტიპი...). ქ. გოდერძიშვილმა მეტსახელებში გამოყო ორი საკმაოდ დიდი სივრცე, რომელთაც უწოდა **ა) „კვაზიონიმები“ (12** სემანტიკური და **ორი** სტრუქტურული ჯგუფით, რომელთაგანაც ერთს უწოდა **გრაფემები)**, **ბ) „ეპითეტიანი სახელები“**(ექვსი სემანტიკური ჯგუფით). „მეტსახელების,“ ამ ვრცელი კლასის, დაშლით და საკმაო ნაწილის გამიჯვნით ქ. გოდერძიშვილმა ანთროპონიმიკაში არსებული ქაოსი დაალაგა. დარჩენილ საკუთრივ მეტსახელებშიაც გამოიყო 14 სემანტიკური, ხოლო ფუნქციის მიხედვით 5 ჯგუფი...

**2)** ენათმეცნიერებაში, კერძოდ, ანთროპონიმიკაში შემოტანილ **სიახლეთაგან ყურადსაღებია:**

**ა)** ქ. გოდერძიშვილთან განსხვავებული ფორმულირებითაა წარმოდგენილი ტრადიციული გრამატიკული ფორმულირება: კნინობით-მოფერებითი და კნინობით-დამცირებითი ანთროპონიმები;

**ბ) სიახლეა:** სახელ-გვარის მართლწერა ინვერსიული წყობისას (გვარი და სახელი);

**გ)** – ო სუფიქსის კვალიფიკაცია შემოკლებულ სახელებში. ყურადსაღებია ისიც, რომ თეორიული კლასიფიკაცია თვალსაჩინოების მიზნით წარმოდგენილია შესატყვისი მეცნიერული სქემებით (20 სქემა).

**უნდა ითქვას: სწორედ ქეთევან გოდერძიშვილის ანთროპონიმიკურმა კვლევებმა განაპირობა თსუ-ში ტოპონიმიკის ლაბორატორიისთვის ონომასტიკის ლაბორატორიის დარქმევა.**

* * *

**II. მეორე მონოგრაფიაში** („თეორიული სიახლენი ტოპონიმიკაში“) შეტანილია 13 თეორიული სიახლე, რომლებიც შესაბამისი ტერმინებითაა წარმოდგენილი:

**1)** უმნიშვნელოვანესი მიგნებაა ტერმინ **არქიტექტონიმით** გეოგრაფიული სახელებისგან მატერიალური კულტურის ძეგლების (ციხესიმაგრეები, შენობა-ნაგებობები, მეგალითები...) გამოყოფა. ეს თვალშისაცემი სიახლეა და ამით ქ. გოდერძიშვილმა ახალი სიტყვა თქვა არა მხოლოდ ქართულ, არამედ რუსული ონომასტიკის სინამდვილეში (შდრ.: ნ. ვ. პოდოლსკაიას ტერმინოლოგიის ლექსიკონთან).

**2-7)** ქ. გოდერძიშვილის მიერ **გამოყოფილ ტოპონიმთა** სხვა **ახალ სემანტიკურ კლასებსაც** მოჰყვა მეცნიერულად საინტერესო სათანადო ტერმინები: კონფლიქტონიმი, ტოპობარბარიზმი, კვაზიტოპონიმი, ანტისემანტიკური ტოპონიმი, სინთეზირებული და ბილინგვური ტოპონიმები.

**8)** დაზუსტებული აქვს ტერმინ ურბანონიმის რაობა, რაც ნამდვილად დასაზუსტებელი იყო.

**9)** სიახლეა რამდენიმე არსებითი სახელის (დედამიწა, მზე, მთვარე...) ტოპონიმის სახეობად წარმოდგენა.

**10) ქეთევან გოდერძიშვილი შეეხო იმას, რასაც 60 წელზე მეტი ხნის მანძილზე არავინ შეხებია – იგი გახლავთ ტოპონიმიკური ლექსიკონების შედგენის მეთოდოლოგიის შემქმნელი, რაც უზრუნველყოფს პირველავტორობის უფლებას და აღმოფხვრის პლაგიატობის უნებურ ფაქტს. ეს აქამდე არავის უფიქრია და შედეგიც არასასურველი იყო.**

**11)** სიახლეა რთულ ტოპონიმთა მართლწერა(მაგ., ქვემო/ზემო ფორმანტების შემცველი ტოპონიმების ერთ სიტყვად დაწერილობა,რაც მართებულია და სხვა.).

**12)** აღსანიშნავია ქართული ონომასტიკიის ისტორიისა და ამ დარგის ფუძემდებლის ქეთევან გოდერძიშვილისეული ანალიზი, რაც სრულ ჭეშმარიტებას შეესაბამება. დარგის ისტორიის ცოდნა კი უპირველესია მეცნიერებისთვის.

**III.** ცალკე განსახილველი თემაა ტოპონიმთა ლექსიკონები. გარდა 10 000-ობით ტოპონიმის გამოვლენისა, რაც თავისთავად ფასდაუდებელი შრომის შედეგია, თითოეული **ეს ლექსიკონი ნიმუშია ავტორის მიერ შემოთავაზებული ამა თუ იმ თეორიული სიახლისა,** მაგალითად:

**1)** „აღმოსავლეთ საქართველოს შვიდი საზღვრისპირა რეგიონის ტოპონიმთა ლექსიკონი“, რომელსაც მეცნიერთა საკმაო გამოხმაურება მოჰყვა. უწოდეს „ნამდვილი საგანძური“, „ფასდაუდებელი ნაშრომი“, „ბოლოდროინდელი პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში“, „მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე“, „ძლიერი ეროვნული მუხტით გაჯერებული ნაშრომი“... **ამ ლექსიკონით დაცულია ავტორის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია.**

**2)** ონომასტიკის ისტორიაში ქ. გოდერძიშვილის მიერ პირველად განხორციელდა პროექტი, რომლის მიხედვითაც მეცნიერულად არასწორია „ტოპონიმთა ლექსიკონი“ ეწოდოს არქიტექტურული ნაგებობების შემცველ ლექსიკონებს. ამ გაუგებრობის აღმოსაფხვრელად ონომასტიკის ისტორიაში პირველად გადაიდგა სწორი ნაბიჯი ქ-ნი ქეთევანის ნაშრომით, ესაა „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტოპონიმთა და არქიტექტონიმთა ლექსიკონი“. ასე რომ, ტოპონიმთა ლექსიკონების მაღალ ფუნქციას ონომასტიკის თეორეტიკოსის, ქ. გოდერძიშვილის ხელში დაეკისრა მის მიერვე შემუშავებული ახალი ონომასტიკური თეორიის ნიმუშად ქცევა.

**3) ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირებულებისაა „ცხინვალის რეგიონის ტოპონიმთა ლექსიკონი,“ რომელშიც შემონახულია ამ ძირძველ ქართულ მიწაზე დღეს აღგვილი ქართული ტოპონიმები, რაც, შეიძლება ითქვას, საქართველოს ოქროს ფონდია, ქართულენოვანი დოკუმენტებია ქართული მიწისა დღეს ოკუპირებულ ამ რეგიონში.**

4) წელს დაიბეჭდება ალ. ღლონტისა და ქ, გოდერძიშვილის მასშტაბურობით გამორჩეული „საქართველოს ჰიდრონიმიკონი,“ რომელსაც სამეცნიერო საზოგადოება კარგა ხანია ელის.

**IV.** გარდა დარგის თეორეტიკოსობისა და ტოპონიმთა ლექსიკონების გამოცემისა, ქეთევანის მეცნიერული დამსახურებაა დარგის ერთ-ერთი სამშვენისი ნაშრომის **აღმოჩენა.** ესაა ალექსანდრე ღლონტის „20 მუნიციპალიტეტის გვართა ლექსიკონები,“ გამოიცა ერთ წიგნად. როგორც თავად ქ. გოდერძიშვილი წერს, მე-20 საუკუნეში დიდი გამოხმაურება მოჰყვა თავად პროფ ალ. ღლონტის მიერ ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონის აღმოჩენას. აკად, სერგი ჯიქია წერდა, „ალ. ღლონტს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა....“ დაბეჯითებით უნდა ითქვას, არანაკლები, ეროვნული თვალსაზრისით, უფრო ფასეულია ქ. გოდერძიშვილის აღმოჩენა (ალ. ღლონტის 20 რეგიონის გვართა ლექსიკონები).

**ქ. გოდერძიშვილს დამსახურება მიუძღვის ქართული გვარების მიმართ. ონომასტიკასა და ისტორიოგრაფიას ეფუძნება მის მიერ 2024 წელს საქ. მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წაკითხული მოხსენება: „ქართული გვარის დასაბამი საქართველოში“, რომლითაც სრულიად ახალი თვალსაზრისი წამოაყენა სიახლის მაძიებელმა მკვლევარმა. უნდა ითქვას: პროფ, ალ. ღლონტის მიერ ფუძეჩაყრილი დარგი ენათმეცნიერებისა – ქართული ონომასტიკა – მისმა მოწაფემ ქეთევან გოდერძიშვილმა სრულყო ფართო თეორიული ასპექტებით, თეორიული ონომასტიკის შექმნით.**

**ქ. გოდერძიშვილის ონომასტიკურ საქმიანობას უცხოეთიდანაც არაერთი გამოხმაურება მოჰყოლია. მის პირველსავე ნაშრომს ჯერ კიდევ 70-იან წლებში გამოეხმაურა მ. კარპენკო, ქეთევანის ონომასტიკური ნაშრომებით დაინტერესდნენ გერმანელი ქართველოლოგები ვინფრიდ ბოედერი და ჰაინც ფენრიხი...**

* * *

**ქვემოთ წარმოვადგენთ ლონდონის უნივერსიტეტიდან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ქალბატონი ნელი ჩაჩიბაიას წერილს:**

...ქ-ნი ქეთევანი ერთადერთი გამორჩეული ონომასტიკოსია ქართულ სამეცნიერო სივრცეში იმ კუთხითაც, რომ მან აჩვენა ? ონომასტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, რომ მაღალი ანთროპონიმული კვლევა მიმდინარეობს ისეთი დარგების მეშვეობით, როგორიცაა კულტურული ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ეთნოგრაფია და თუ ქართული მწერ- ლობის პერსონაჟებს იკვლევ, ბუნებრივია, ლიტერატურათმცოდნეობა. სწორედ ამ მრავალწახნაგოვან დარგებს შეჰყავხარ კულტუროლოგიის სივრცეში და ეს კარგად ჩანს მის მონოგრაფიებში.

თამამად შემიძლია ქეთევან გოდერძიშვილის ნაშრომები – მონოგრაფიები, ტოპონიმთა ლექსიკონები – შევადარო ისეთი სახელოვანი მკვლევრების შრომებს, როგორებიც არიან რ. ა. მაკინლი, ა. დ. მილსი, ფ. ჰ. რინი, ჯ. კაპლანი და სხვები, რომლებიც ასევე წარმატებულად იკვლევენ ინგლისური გვარების ისტორიას, ადგენენ ლონდონის ტოპონიმებისა და ინგლისური გვარების ლექსიკონებს. საინტერესოა ქ-ნი ქეთევანის მიერ ქართული გვარის დასაბამის კვლევა. ქართული გვარი და მისი ისტორია ქართული კულტურის ნაყოფია და დადასტურება.

ქეთევან გოდერძიშვილი არის შემოქმედი, რომელიც მუდამ ძიებაშია და ქმნის ტერმინებს, მეთოდოლოგიას... მან მეტსახელთა ჯგუფიდან გამოყო ეპითეტიანი სახელები, კვაზიონიმები და ამით სრულიად ახალი სიტყვა თქვა დარგში. საგანგებო ნაშრომები უძღვნა რელიგიური სივრცის ანთროპონიმებს. მისი ტოპონიმური საქმიანობა ხომ წმინდა ეროვნული საქმიანობაა, რითაც ამდიდრებს ქართული კულტუროლოგიის ეროვნულ სივრცეს...

ფასდაუდებელია ქ-ნი ქეთევანის მიერ გაწეული ღვაწლი, მისი ნაშრომები გაჟღენთილია საქართველოს სიყვარულით, ტოპონიმების და ანთროპონიმების კვლევის ღრმა ცოდნით, ონომასტიკაში მრავალმხრიობით, მომიჯნავე დარგების გამოყენების გათვალისწინებით – ეს მნიშვნელოვანია. მისი კვლევა ეყრდნობა როგორც ვრცელი ქართული მწერლობის, ისე რეალურ ყოფაში მოძიებულ მდიდარ მასალას. ეს ძალიან დასაფასებელია. ქ-ნი ქეთევანის საქმის სიყვარული და თავდადება ნამდვილად გაუძლებს დროს და შთამომავლობა მადლიერებით მოიხსენიებს მის ღვაწლს“ **(ლონდონი,პროფ. ნელი ჩაჩიბაია).**

* * *

**წერილს ვამთავრებთ იმავე წინადადებით, რომლითაც ვიწყებთ: ქ. გოდერძიშვილის გამორჩეულობა ონომასტიკურ საქმიანობაში განაპირობა მის მიერ ამ ეროვნული დარგის თეორეტიკოსობამ. ტოპონიმთა ლექსიკონებიც კი, რომელთა უპირველესი დანიშნულებაა ქართული მეობისა და ისტორიის წარმოჩენა, ავტორის რომელიმე თეორიული პარადიგმის ნიმუშია. ამიტომაც დაიმსახურა წლების წინ, აკად. ვლ. პაპავას რექტორობის დროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამორჩეული მეცნიერი თანამშრომლის პენსია.**

**მარიკა ჯიქია,**
პროფესორი, თსუ თურქოლოგიის კათედრის გამგე;

**რევაზ ძნელაძე,**
პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

**ვახტანგ მაღრაძე,**
პროფესორი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

# ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სემეკის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) მიერ დაფუძნებულ, ენერგეტიკის სასწავლო ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს უნივერსიტეტის რექტორმა დავით გურგენიძემ და სემეკის თავმჯდომარემ დავით ნარმანიამ.**

მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგებისა და ირიგაციის სექტორებში ცოდნა-გამოცდილების გაზიარება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ერთობლივი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ხასიათის პროექტების მომზადება, თემატური კონფერენციებისა და სამეცნიერო ფორუმების მოწყობა, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

სემეკის თავმჯდომარის **დავით ნარმანიას** განცხადებით, ენერგეტიკის სასწავლო ცენტრსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მიზანია ხელი შეეწყოს აკადემიურ წრეებთან მჭიდრო თანამშრომლობასა და სტუდენტების პროფესიულ განვითარებას.




საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა **დავით გურგენიძემ** ყურადღება გაამახვილა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, როგორც ფლაგმანი უმაღლესი სკოლის მისიაზე ენერგეტიკისა და მისი მომიჯნავე საინჟინრო დარგებისთვის ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და მათი პროფესიონალებად ფორმირების, ასევე, სექტორში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების მხრივ.

**„ვიმედოვნებთ, სემეკის ბაზაზე მოქმედ ენერგეტიკის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, პარტნიორობა კი გააძლიერებს აკადემიურ საზოგადოებასა და ინდუსტრიას შორის კავშირს, შექმნის ახალ პლატფორმებს ერთობლივი კვლევისა და ინოვაციისთვის, ხოლო ჩვენს სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ ღირებული პრაქტიკული გამოცდილება და სამომავლოდ, შეძლონ კარიერული განვითარება.**

**დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალებით შევძლებთ ისეთი ეკოსისტემის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციასა და პროგრესს საქართველოს ენერგეტიკის სექტორში“,** – აღნიშნა **დავით გურგენიძემ.**

---

## „დიდი შვიდეულიდან“ რუსეთის გაძევება სულელური გადაწყვეტილება იყო



**აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის** შეფასებით, „დიდი შვიდეულიდან“ რუსეთის გაძევება თავის დროზე სულელური გადაწყვეტილება იყო, რამაც მოსკოვს უკრაინაში ომის დაწყებისკენ უბიძგა.

**„დღეს თუ იქნებოდა „დიდი რვიანი“ და რუსეთი იქ იქნებოდა, ვფიქრობ, სავარაუდოდ, არ გვექნებოდა ეს აბსურდული, სასიკვდილო ომი, რომელიც ახლა მიმდინარეობს. რუსეთი გააძევეს და, შესაძლოა, ამის გამო მილიონობით ადამიანი კვდება. თუ ის სხვა ადამიანებთან ერთად იჯდებოდა მაგიდასთან, შვიდ ადამიანთან ერთად, რომლებიც მას ეტყოდნენ: „ნუ გავაკეთებთ ამას“, ვფიქრობ, სავარაუდოდ, არ გექნებოდათ ის პრობლემები, რაც გაქვთ“,** – თქვა **ტრამპმა.**

## სერბული მედია: ლატვიამ და ლიეტუვამ მოსკოვში მიმავალ სერბეთის პრეზიდენტის თვითმფრინავს ცა ჩაუკეტეს!

**ლატვიისა და ლიეტუვის ხელისუფლებებმა უფლება არ მისცეს სერბეთის პრეზიდენტის ალექსანდარ ვუჩიჩის თვითმფრინავს, რომელიც მოსკოვში მიფრინავდა, მათი საჰაერო სივრცე გამოეყენებინა,** – ინფორმაციას სერბული მედია ავრცელებს.

მედიის ცნობით, ლიეტუვამ ვუჩიჩის თვითმფრინავს თავის საჰაერო სივრცეში შესვლის უფლება საკითხის „ტექნიკური და დიპლომატიური დელიკატურობის გამო“ არ მისცა. ხოლო ლატვიის ხელისუფლებამ ვუჩიჩს გადაფრენის საშუალება „ფრენის მიზნის პოლიტიკური დელიკატურობის გამო“ არ მისცა. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ ანალოგიურ პრობლემას სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი რობერტ ფიცოც გადააწყდა. ლატვიისა და ლიეტუვის ხელისუფლებები მის თვითმფრინავსაც არ აძლევენ საჰაერო დერეფანს. ცნობისთვის, ვუჩიჩი და ფიცოც 9 მაისს მოსკოვში ჩასვლას და მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმს უნდა დაესწრონ.

## ჩრდილოეთ კორეა ბალისტიკურ რაკეტებს ცდის



**ჩრდილოეთ კორეამ მცირე რადიუსის ბალისტიკური რაკეტები გამოცადა,** – ინფორმაციას სამხრეთკორეული მედია სამხრეთ კორეის შტაბების გაერთიანებულ კომიტეტზე დაყრდნობით ავრცელებს.

უწყების განცხადებით, რაკეტების გაშვების შესახებ ინფორმირებულია იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები. მიმდინარეობს ვითარების მონიტორინგი. ჩრდილოეთ კორეამ ბოლოს ბალისტიკური რაკეტები 10 მარტს გაუშვა, როდესაც სამხრეთ კორეამ და შეერთებულმა შტატებმა ერთობლივი სამხედრო წვრთნა დაიწყეს.

## ვეზუვის ტრაგედია თავს ახლაც გვახსენებს...

**ძველრომაულ ნაქალაქარ პომპეიში არქეოლოგებმა მიაგნეს მტკიცებულებას, რომ ოთხი წევრისგან შემდგარმა ოჯახმა 2000 წლის წინ კარი საწოლით დაფარა, რათა თავი ვეზუვის ამოფრქვევისგან დაეცვა.**

არქეოლოგებმა ოთხი ადამიანის ძვლებს მიაგნეს. მათ შორის ბავშვიც იყო. აღმოჩენილ სახლს casa di Elle e Frisso-ო დაარქვეს, იმ მითოლოგიური ნახატის პატივსაცემად, რომელიც სახლის ერთ-ერთ ოთახში იპოვეს.

პირველად ეს სახლი 2019 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს და მას შემდეგ მეცნიერები მუშაობას აგრძელებდნენ. მათი თქმით, მოპოვებული მასალის გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ოჯახი დიდი ალბათობით ძველი რომაული საზოგადოების მაღალ კლასს მიეკუთვნებოდა.



არქეოლოგების თქმით, ნაქალაქარ პომპეიში მუშაობის პროცესში მათ მიერ აღმოჩენილი არტეფაქტები არა მარტო უნიკალურ შემოქმედებაზე, არამედ წუთისოფლის არასანდოობასა და არასაიმედოობაზე მიუთითებენ, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება საბედისწეროდ შეიცვალოს.

## ამაზონის ტყეში იდუმალი „პირამიდა“ გამოჩნდა!..

**სერო ელ კონო (Cerro El Cono) – ეს ამაზონის ტყეში დამალული იდუმალი წმინდა „პირამიდაა“, რომელიც მეცნიერებისთვის დღემდე ამოუცნობ ობიექტად რჩება, ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის კი მას სულიერი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. ისინი მას „მთის ღმერთად“ მიიჩნევენ.**



ტყით დაფარული „პირამიდის“ სიმაღლე 400 მეტრს აღწევს და პერუსა და ბრაზილიის საზღვარზე მდებარეობს.

ადგილობრივ მაცხოვრებლებს სჯერათ, რომ იგი მიწიდან აღმოცენდა, რათა ახლოს მცხოვრები ადამიანები დაიცვას. თუმცა არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის თანახმადაც, Cerro El Cono-ს ქვეშ პირამიდის ნამსხვრევებია, რომელიც უძველესმა ტომებმა ააგეს. ეს თეორია ჯერ დამტკიცებული არ არის.

მეცნიერებს ამ მოსაზრების გასამყარებლად კვლევების ჩატარება სჭირდებათ, თუმცა სერო ელ კონო იმდენად მიუვალ და საშიშ ადგილას მდებარეობს, რომ ჯერჯერობით ეს რთულად განსახორციელებელი მისიაა.

## NASA-ს მონაცემებით, 2024 წელს ზღვის დონემ მოსალოდნელზე მეტად აიწია!



**გლობალური დათბობის გამო, დედამიწის მყინვარების დნობა გრძელდება და ამასობაში, ზღვის დონის მატება ახალ სიმაღლეებს აღწევს.** თუმცა, 2024 წელს, წყლის დონის მატების უდიდესი ნაწილი სულ სხვა მექანიზმით იყო გამოწვეული.

**„2024 წელს დაფიქსირებული მატება მოსალოდნელზე მაღალი იყო. ყოველი წელი ერთმანეთისგან ცოტა განსხვავდება, მაგრამ აშკარაა, რომ ოკეანის დონე აწევას განაგრძობს და ეს მაჩვენებელი სულ უფრო და უფრო ჩქარდება“,** – ამბობს NASA-ს ოკეანოგრაფი ჯოშ უილისი.

წარსულის ტენდენციებზე დაყრდნობით, NASA 2024 წელს პროგნოზირებდა 0,43 სანტიმეტრით აწევას, მაგრამ სინამდვილეში, აიწია 0,59 სანტიმეტრით.

ეს რიცხვები მომდინარეობს ხუთი საერთაშორისო თანამგზავრის მიერ 1992 წლიდან დღემდე წარმოებული გაზომვებით. მათ შორის უახლეს თანამგზავრს, Sentinel-6 Michael Freilich-ს შეუძლია დედამიწის ოკეანეების 90 პროცენტის ზედაპირის სიმაღლის რამდენიმე სანტიმეტრამდე გაზომვა.

## საუკუნოვანი კვანტურ-მექანიკური თეორია დამტკიცდა!

**ფიზიკოსებმა პირველად გამოიყენეს ახალი ლაზერული მეთოდი, რათა იმ ცალკეული ატომებისთვის ედევნებინათ თვალი, რომლებიც გარემოში ურთიერთმოქმედებენ. ახალი მეთოდი კვანტურ-მექანიკურ საუკუნოვან თეორიას ამტკიცებს. პირველად მეცნიერებმა შეძლეს, თვალი ედევნებინათ იმისთვის, როგორ თავისუფლად მოძრაობენ ცალკეული ატომები და ურთიერთმოქმედებენ გარემოში.**

საუბარია დე ბროილის ტალღაზე. ეს კონცეფცია 1924 წელს ფრანგმა ფიზიკოსმა ლუი დე ბროილმა წამოაყენა. აქამდე ამ თეორიის განმტკიცება და შემოწმება ვერ ხერხდებოდა.

**„ეს იგივეა, რომ დავინახოთ ღრუბელი ცაში, თუმცა არა ცალკეული წყლის მოლეკულები, რისგანაც ის შედგება“,** – განაცხადა მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის ფიზიკოსმა **მარტინ ცვიერლეინმა.**

როგორც ცნობილია, კვანტური ბუნებიდან გამომდინარე ძნელია ცალკეული ატომების დაჭერა. კვანტური უცნაურობიდან გამომდინარე, მკვლევრებმა არ იციან ატომის მდგომარეობა და სიჩქარე, თუმცა გარკვეული ლაზერული მეთოდების გამოყენებით, მათ ატომების ღრუბლების გამოსახულება მიიღეს.



# მგლების დრო ბრუნდება?!

**მიმდინარე წლის მარტში გერმანიის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა, გერმანიის ახალმა კანცლერმა, „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის“ ლიდერმა ფრიდრიხ მერცმა, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ხაზგასმით განაცხადა, რომ სურს მოლაპარაკება საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან ბირთვული იარაღის ერთობლივი გამოყენების შესახებ რუსეთის წინააღმდეგ.**



## ფრიდრიხ მერცი:

# „ჩვენ უნდა შევქმნათ ევროპის არმია“

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა უკვე ღიად აღიარა, რომ რუსეთი საფრთხე გახდა საფრანგეთისა და ევროპისთვის. მაკრონის თქმით, იგი მზად არის ფრანგული ბირთვული იარაღით ევროპელი მოკავშირეების დაცვის შესახებ დისკუსია დაიწყოს.**

სწორედ ამ დროს გერმანიის ახალი კანცლერი ფრიდრიხ მერცი საკუთარ თავს სოციალურად კონსერვატიულ და ეკონომიკურად ლიბერალურ პოლიტიკოსად მიიჩნევს და ამბობს, რომ „ღრმად დარწმუნებული ევროპელი და ტრანსატლანტიკოსია“ და გერმანიასა და მის პარტნიორებს – ევროკავშირსა და ნატოს შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და „ევროპის არმიის“ შექმნის მომხრეა.

2017 წელს მერცმა მხარი დაუჭირა ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციას. ის იმიგრაციის შესახებ კანონმდებლობის გამკაცრების მომხრეა, აკრიტიკებს გერმანიაში მულტიკულტურალიზმის იდეებს და ღიად აცხადებს გერმანული კულტურისთვის „დომინანტური პოზიციის“ აუცილებლობის შესახებ.

**ეს უკვე პირდაპირი საომარი რიტორიკა გახლავთ რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც, განხორციელების შემთხვევაში, სამწუხაროდ, მხოლოდ რუსეთის პრობლემად არ შეიძლება დარჩეს!**

მერცი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გახანგრძლივებას მკაცრად მოითხოვს, სანამ აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტი არ მოგვარდება. ამავდროულად, იგი თვლის, რომ გერმანული ბიზნესის მხარდასაჭერად, რომელიც რიგ სფეროებში დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციასთან ეკონომიკურ კავშირებზე, ნებისმიერი შესაძლებლობა და კონტაქტი უნდა იქნას გამოყენებული გერმანიისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მოსაძებნად და ამ კავშირების თავიდან ასაცილებლად.

აქვე ვიტყვი, რომ უკრაინაში რუსეთის სამხედრო სპეცოპერაციის ფონზე მერცი ყოველთვის მხარს უჭერდა რუსეთის საერთაშორისო ბანკთაშორისი სისტემიდან **SWIFT**-ის გათიშვას და ემხრობოდა უკრაინისთვის მძიმე შეიარაღების მიწოდებას.

**„ფრიდრიხ მერცი, რომელმაც, მოსალოდნელია, მაისში გერმანიის ახალ მთავრობას უხელმძღვანელოს, კიევისთვის Taurus-ის ფრთოსანი რაკეტების მიწოდების ნებართვით ვოლოდიმირ ზელენსკის პირდაპირი თანამონაწილე ხდება ომის დანაშაულებში“.** – ეს მოსაზრება, **ТАСС**-ის ინფორმაციით, 14 აპრილს სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა, რუსეთის ლიბერალური და დემოკრატიული პარტიის ლიდერმა **ლეონიდ სლუცკიმ** გამოთქვა.

**„გერმანიიდან უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის შორ მანძილზე მოქმედი ფრთოსანი რაკეტების მიწოდების მცდელობებს არაფერი აქვს საერთო უკრაინის კრიზისის მოგვარებასთან. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ასეთი ნაბიჯები ესკალაციას იწვევს და, შესაბამისად, გლობალური დაპირისპირების რისკების ზრდას. მერცი ზელენსკის პირდაპირი თანამონაწილე ხდება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ სამხედრო დანაშაულებში“,** – აღნიშნა პარლამენტარმა **სლუცკიმ** TELEGRAM არხზე.

მისივე თქმით, მერცის განცხადებები ევროპულ „საომარ პარტიაში“ გაწევრების მცდელობაა. სხვათა შორის, ეს ის სლუცკია, რომელმაც ამასწინათ განაცხადა:

**„საიკაშვილი გააცურეს. ზელენსკის კი საიკაშვილზე გაცილებით უარესი ბედი ელის. ეს იქნება გაკვეთილი ყველასთვის, ვინც 30 ვერცხლად მზად არის რუსოფობიით, სახელმწიფო სუვერენიტეტით და დამოუკიდებლობით ივაჭროს. პირველ რიგში, ეს ეხება უკრაინულ ხუნტას ზელენსკის ხელმძღვანელობითო“.**



**რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი მედვედევმა ახალ კანცლერს ფრიდრიხ მერცს ნაცისტი უწოდა ყირიმის ხიდზე თავდასხმის იდეის გამო და მამამისის წარსული გაიხსენა**



მერცი კი, როგორც ვთქვით, კიევისთვის **Taurus**-ის ფრთოსანი რაკეტების მიწოდების ნებართვაზე არის თანახმა პირობით: თუ ამ იარაღის გადაცემა ევროკავშირის პარტნიორებთან შეთანხმებული იქნება. მან აღნიშნა, რომ უკრაინის სამხედრო ძალები თავდაცვით რეჟიმში არიან, თუმცა, მისი აზრით, მათ უნდა ჰქონდეთ რუსული ძალების მომარაგების მარშრუტებზე დარტყმის შესაძლებლობა.

საყურადღებოა, რომ მან ამ კონტექსტში ყირიმის ხიდიც ახსენა.

კიევი დიდი ხანია ბერლინს **Taurus**-ის ტიპის რაკეტებს სთხოვს. ეს იარაღი ბრიტანული **„Storm Shadow“**-ის ანალოგად ითვლება, რომელიც უკვე მიეწოდება უკრაინას, თუმცა ამ გერმანულ-შვედური რაკეტების მოქმედების რადიუსი, როგორც შესაბამისი საინფორმაციო საშუალებებიდან გავარკვიე, უფრო დიდია.

ვინც ყურს უგდებს მიმდინარე მოვლენებს, ეხსომება, რომ რუსეთის პრეზიდენტმა 2024 წლის 28 ნოემბერს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (**CSTO**) სამიტზე არაერთხელ გააფრთხილა დასავლეთი, რომ შორი მოქმედების იარაღის რუსეთის ტერიტორიაზე გამოყენება ნატოს კონფლიქტში პირდაპირ ჩართვას ნიშნავდა.

სავარაუდოდ, ალბათ, იმაზე არ შემეკამათებით, რომ უკრაინაში მიმდინარე სისხლისღვრაში კიევის რეჟიმი არ არის მხარე, არამედ ინსტრუმენტია დასავლურ მანიპულაციაში და ეს არაერთხელ დადასტურდა კიდეც ამ კონფლიქტის მიმდინარეობისას.

**Taurus**-ის ტიპის რაკეტების უკრაინისთვის მიწოდების საკითხში რუსეთის პოზიციები ერთგვაროვანია.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა: თუ ეს მოხდება, ყველაფერი შეფასდება, როგორც გერმანიის პირდაპირი მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში კიევის რეჟიმის მხარეს, გერმანიისთვის ყველა შემდგომი შედეგებითო.

რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **დიმიტრი მედვედევმა** ახალ კანცლერს ფრიდრიხ მერცს, ნაცისტი უწოდა ყირიმის ხიდზე თავდასხმის იდეის გამო და მამამისის წარსული გაიხსენა.

გერმანულ მედიაში, დიუსელდორფის მთავარ სახელმწიფო არქივზე დაყრდნობით, გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მერცის ბაბუა 1933 წელს შეუერთდა შტორმულ რაზმების (**SA**) რეზერვს, ხოლო 1938 წელს გახდა **NSDAP**-ის წევრი. თავად პოლიტიკოსი კი ამტკიცებდა, რომ მისი ბაბუა ნაცისტური რეჟიმის წინააღმდეგი იყო, საინფორმაციო წყაროები იმასაც აცხადებენ, რომ ფრიც მერცის მამა ჰიტლერის ვერმახტში მსახურობდა, თავად მერცი კი წლების განმავლობაში თანამდებობის პირი იყო ერთ ნაცისტურ ორგანიზაციაშიო.

ევროკავშირის ქვეყნების ხელისუფლებები არ არიან მიდრეკილი უკრაინაში სამშვიდობო პროცესისკენ, – საბოლოო ჯამში, ასეთია რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მოსაზრებები.

2024 წლის მაისში **CDU**-მა (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი – **ქდკ.**) მოიწვია თავისი შემდეგი კონგრესი, რომელიც მისი თავმჯდომარისთვის – ფრიდრიხ მერცისთვის ტრიუმფი აღმოჩნდა. პირველ რიგში, მერცი თავად აირჩიეს პარტიის **ლიდერად 90%-იანი** საპატიო შედეგით. მეორეც, **CDU**-მ გამოაქვეყნა განახლებული პარტიული პროგრამა. ინტერნეტ-ქსელში განთავსებული ამ 80-გვერდიანი ბუკლეტით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც მერცმა აფრიალა და განაცხადა, რომ მერკელის ექსპერიმენტები დასრულდა, მაშინ უკვე ცხადი გახდება, რომ პარტია კონსერვატიული იდეებისკენ შებრუნდა. კონსერვატიული იდეები კი მსოფლიოში გერმანიის დომინაციის მუდმივ ოცნებაზე მიუთითებს.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ჰამბურგის საბჭოს წევრი ნიკოლაი ჰაუფლერი, მერცის პროგრამას „კრიზისული პერიოდის პროგრამას“ უწოდებს.

**„ჩვენ ვაბრუნებთ სავალდებულო სამხედრო სამსახურს, განვიხილავთ თავშესაფრების შემთხვევებს გერმანიის ფარგლებს გარეთ – ეს ყველაფერი ფუნდამენტური გადაწყვეტილებებია“,** – ამბობს ის.



**„მერცი თვლის, რომ მგლების დრო მოდის, ან ეს დრო უკვე დადგა და საჭიროა, გერმანია გამოფხიზლდეს ზამთრის ძილიდან, შეიარაღდეს, სრულიად გულახდილი იყოს აშშ-სთან და შეწყვიტოს ავტორიტარულ რეჟიმებთან ფლირტი“, – ამბობს ფრიდრიხ ებერტის ფონდის ხელმძღვანელი ალექს იუსუპოვი.**

მერცის სიხისტე გერმანელ ამომრჩეველს ძალიან ახარებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიგრანტები მისი კრიტიკის ობიექტები ხდებიან. მერცმა უკრაინელი ლტოლვილები „სოციალურ ტურიზმში“ დაადანაშაულა: ისინი, სავარაუდოდ, გერმანიაში შეღავათების მიმღებები ხდებიან და შემდეგ უკრაინაში მიემგზავრებიანო. მან მუსლიმ ვაჟებზე განაცხადა: მათ ინტეგრაცია არ სურთ გერმანულ საზოგადოებაში, ისინი „პატარა ფაშები“ არიანო, რითაც საბოლოოდ დაამტკიცა, რომ არიული რასის უპირატესობას უსვამს ხაზს.

„**Financial Times**“-ი წერს, რომ მერცი სწავლობს ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის დასაფინანსებლად 500-800 მილიარდი ევროს გამოყოფის შესაძლებლობას.

ბუნდესტაგის მწვანეთა ფრაქციის თანათავმჯდომარემ ბრიტ ჰასელმანმა **CDU**-ს თავმჯდომარეს, გერმანიის ახალ კანცლერს მოუწოდა, **„რაც შეიძლება სწრაფად გაწყვიტოს პარტიის კავშირები მოსკოვთან“.**

13 მარტს, რუსული მედიის შთაბეჭდილებით, ფიცხმა და იმპულსური ხასიათის ფრიდრიხ მერცმა ბუნდესტაგში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა:

**„გერმანია უნდა გახდეს თავდაცვისუნარიანი და საერთაშორისო ასპარეზზე დაბრუნდეს, როგორც ღირსეული პარტნიორი ევროპაში, ნატოსა და მსოფლიოში“.**

გერმანელი პოლიტოლოგი **ალექსანდერ რარი** მიიჩნევს, რომ **მერცი მზადაა რუსეთთან ვითარების ესკალაციისთვის, რადგან საკუთარ თავს ევროპის ახალ ლიდერად აღიქვამს. „მერცი ძალიან არის გაჟღენთილი ცივი ომის სულისკვეთებით. ის არ არის მზად მოლაპარაკებებისთვის“,** – ამბობს იგი.

მედიის ცნობით, ფრიდრიხ მერცი იყო ამერიკული საინვესტიციო კომპანია **BlackRock**-ის გერმანული ფილიალის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

რაც შეეხება მსოფლიოში უმსხვილეს, ყბადაღებულ ამერიკულ საინვესტიციო და აქტივების მმართველ კომპანია „**BlackRock**“-ს („ბლექროკი“), ის ხშირად ფიგურირებს იქ, სადაც ომი და ხანგრძლივი კონფლიქტებია. „**BlackRock**“ მის მფლობელობაში არსებული კომპანია „**Lokheed Martin**“-ის მეშვეობით იარაღს ყიდის საუდის არაბეთზე, რომელიც დაუსრულებელ ომს აწარმოებს იემენთან.

„**BlackRock**“ რეპუტაციული პრობლემები აქვს ამერიკაშიც, სამოქალაქო ორგანიზაციები კომპანიას ადანაშაულებენ გარემოსთვის ზიანის მიყენებაში, სამხედრო და სამოქალაქო იარაღის წარმოებით კონფლიქტების და სისხლისღვრის წაქეზებაში, ასევე სირიის, იემენის, ერაყისა და ავღანეთის ომებიდან დიდძალი ფინანსური სარგებლის მიღებაში. უკრაინაში კი „**BlackRock**“ მოგებას იღებს, როგორც იარაღის წარმოების და მიწოდების გაზრდილი მოცულობიდან, ასევე უკრაინის ხელისუფლებასთან გაფორმებული მემორანდუმის შედეგად, „**BlackRock**“ მოგებას ელოდება უკრაინის ომისშემდგომი აღდგენა-რეაბილიტაციის პროცესშიც, რომელიც, სხვადასხვა დათვლებით, 500 მილიარდ დოლარზე მეტი უნდა დაჯდეს.

**მაგრამ ამ მშვიდობიან, დემოკრატიულ, ფაშიზმის მგმობელ გერმანიაში საიდან უნდა გამოჩენილიყო ისეთი აგრესიული პოლიტიკური მიმართულებების მქონე პოლიტიკოსი და კანცლერი, როგორიც ფრიდრიხ მერცი გახლავთ?**

საქმე იმაშია, რომ ყველაფერს აქვს თავისი მიზეზები და ეს მიზეზები არასდროს არ არის ზედაპირული. თუ კარგად ჩავუღრმავდებით, ამ ერის ზრახვები მხოლოდ ჰიტლერთან კი არა, უფრო შორეულ წარსულთან მიდის.

კარლოს დიდის, ლომბარდთა მეფის როლი, როგორც იმპერატორისა და ფრანკთა მეფისა ისტორიულად აკავშირებს **საღვთო რომის იმპერიულ კლანს,** ფრანკთა სამეფოებსა და გვიანდელ გერმანიას. ამჟამად ფრანგებიც და გერმანელებიც კარლოს დიდს მათი ქვეყნების დამფუძნებლად მიიჩნევენ.

კარლოს დიდის იმიჯი იდეალიზებული იყო შუა საუკუნეებიდან. გერმანელი ნაციონალისტი ისტორიკოსები მუდმივად ცდილობდნენ **კარლოს დიდი წარმოეჩინათ, როგორც გერმანელი ლიდერი აღმოსავლეთში სლავების წინააღმდეგ „საცხოვრებელი სივრცისთვის“ ბრძოლაში.**

კარლოსი მოიხსენიებოდა, როგორც „ყველაზე მადლიანი, დიდი მმართველი და მშვიდობისმყოფელი, **ახალი რომის იმპერიის მმართველი,** ფრანკთა და ლომბარდების მეფის ღმერთის მადლი“. ამ მეფის სამფლობელო გაშლილი იყო საფრანგეთის, ბელგიის, თითქმის მთელი გერმანიის ავსტრიის ნაწილზე და მოიცავდა ნიდერლანდების თანამედროვე ტერიტორიის უმეტესს.

კარლოს დიდი მრავალრიცხოვანი ქორწინებებით გამოირჩეოდა, მას ნათესაობრივი პოლიტიკის შედეგად დიდძალი შთამომავლობა დარჩა. მოგვიანებით, **შთამომავალთა შორის მომდევნო ქორწინებების შედეგად ევროპის თითქმის ყველა სამეფო გვარის გენეალოგია კარლოს დიდის ოჯახთან არის დაკავშირებული.** კარლოს დიდის ყველაზე ცნობილი შთამომავლები იყვნენ აშშ-ის 27-ე პრეზიდენტი უილიამ ჰაუარდ ტაფტი, ამერიკელი მსახიობი ტირონ პაუერი, ბრიტანელი მსახიობი ქრისტოფერ ლი (სარუმანი „ბეჭდების მბრძანებლიდან“), გაერთიანებული სამეფოს დედოფალი ელისაბედ II და სხვები.

ჩვენ თუ ოცნება გვაქვს ძველი სამშობლოს აღდგენისა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გერმანელები დღემდე ცდილობენ კარლოს დიდის იმპერიის აღდგენას და ეს ოცნება მათთვის მარადიულია. გერმანელებმა ერთიმეორის მიყოლებით სამი რაიხი დააფუძნეს, ბოლო მცდელობა მწარედ ახსოვს ისტორიას ჰიტლერული რაიხის სახელწოდებით.

**გერმანიაში ფაშიზმის, როგორც ხანდახან უწოდებენ, „ყვითელი ჯირის“ დამმარცხებელი სტალინის ძეგლებს საქართველოში ებრძვიან. გერმანია კი არ ივიწყებს ისტორიას და სამაგიეროს გადახდასთან ერთად, ახალი რომის იმპერიობაზეც თუ ჰქონდათ პრეტენზია, არ მეგონა.**

**რაც შეეხება ფრიდრიხ მერცს, ის უკვე შეუდგა კანცლერობას.**

**ირანდა კალანდაძე**

# ქრისტეს გმობა თავისუფლების სახელით!..



## გარყვნილები, რადიკალები და „სამეფო უბნის თეატრი“



და მერე, დიდი მარცხის მოლოდინში, დიდ სიტყვებს მნიშვნელობები შევუცვალეთ და რესტორნებს

**გახრწნილების პიკი, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს ქართულ თეატრთან და მით უმეტეს თანამედროვეობასთან. სოციალურ ქსელში დათა თავაძის რეჟისორობით დადგმული სპექტაკლიდან „ლიბერტე“ აუდიონაწყვეტი გავრცელდა. შინაარსმა საზოგადოების ნაწილის აღშფოთება გამოიწვია, უცენზურო გამონათქვამების, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისა და ლგბტ პროპაგანდის გამო. გავრცელებული აუდიომასალა წუთი და 6 წამია. პარალელურად, გავრცელდა კიდევ ერთი მასალა, ვიდეოჩანაწერის სახით, რომლის შინაარსიც ძალიან მძიმეა. „სამეფო უბნის თეატრის“ აფიშის მიხედვით, ნატუკა კახიძის, მაგდა ლებანიძის, სანდრო სამხარაძისა და გაგა შიშინაშვილის მონაწილეობით დადგმა 140-წუთიანია.**

**თავაძე და ამ საშინელი სპექტაკლის „გმირები“ მედიასთან არ გამოჩენილან, მაგრამ ამ უზნეობას, რა თქმა უნდა, გამოუჩნდნენ მხარდამჭერები და საზოგადოების აღშფოთება „ჯაყოს ხიზნების“ ეკრანიზაციის შემდეგ გამოწვეულ აღშფოთებას შეადარეს. თუმცა, ფაქტია, რომ თავაძის „ლიბერტე“-ს არაფერი აქვს საერთო „ჯაყოს ხიზნებთან“.**

ამ დრომდე კომენტარს არ აკეთებს კულტურის სამინისტროც. მსახიობი **პაატა მიქიაშვილი** კი სოციალურ ქსელში წერს, რომ არსებობს ზღვარი, რომელსაც არ უნდა გასცდე.

**„შეგნებულად არ ვაზიარებ ვიდეოს, განსაკუთრებით მხოლოდ ხმა სადაც ისმის და ტექსტი, რომლის ბოლომდე მოსმენაც კი წარმოუდგენელია! მე ძალიან ცოდვილი ვარ და არაფრით მათზე მეტი არ ვარ, არაფრით! არც სიწმინდით, არც ნიჭით! მაგრამ არის რაღაცები, რაც ცდება კოლეგიალობას, მეგობრობას, პროფესიას და არის საკითხები, სადაც არსებობს ელემენტარული ზღვარი! არც სიშიშვლე უკვირს ვინმეს 21-ე საუკუნეში და არც სითამამე, უამრავი სპექტაკლი გვინახავს ან გაგვიგია, სადაც სიშიშვლეა და არავის არ ჰქონია მძაფრი რეაქცია და გახდაში არ არის საქმე და პრობლემა, მაგრამ ვიმეორებ, არის თემები, რაც უზნეობაა!!! ეს თუა თანამედროვე თეატრი და ევროპა, მაშინ მე წარმოდგენა არ მქონია არც თეატრზე და არაფერზე და დე, ვიყო ესე! ვისაც ამ შინაარსში რამე არ მოგწონთ, კოლეგებს, მეგობრებს, თანამშრომლებს, ღილაკზე ერთი თითის დაჭერით შეგიძლიათ წამშალოთ!“,** – წერს **პაატა მიქიაშვილი.**

დათა თავაძის რეჟისორობით დადგმულ სპექტაკლს, რომელიც უცენზურო გამონათქვამების, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისა და ლგბტ პროპაგანდის შინაარსს ატარებს, მედიასთან ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ირაკლი კირცხალია** გამოეხმაურა.

**„ამაზრზენია ეს ყველაფერი, რაც ვიხილეთ. საზოგადოება გააკეთებს სწორ შეფასებებს, რეალურად რა ჯგუფები მოქმედებენ დღეს ეროვნულობის, ღირსების, თავისუფლების, ქვეყნისა და ეკლესიის სიყვარულის სახელით. არ დაგვავიწყდეს, რომ დღესასწაულებზე გალობენ ქაშუეთის ეზოში“,** – აღნიშნა **ირაკლი კირცხალიამ.**

სპექტაკლის აუდიონაწყვეტი არ უნახავს თეატრის მხატვარს შოთა გლურჯიძეს, რომლის განცხადებით, როდესაც ვინმე რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფს, ეს არაა თავისუფლება და თვითონ უნდა დაფიქრდეს, რას აკეთებს. მისი თქმით, ახლა ყველაზე საუკეთესო გზაა, შეინანოს.

**„ღმერთმა უშველოს. ძალიან მძიმე ცოდვაა. თუ ღვთის გმობაა – მით უმეტეს. არ ვიცი, არ მინახავს. ასეთი ნიმუშები გვინახია, არის ესეთი რაღაცები ეროტიკული და პორნოგრაფიული, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვუყუროთ ამას. რაც შეეხება იმას, რამდენად ვრცელდება დღეს თეატრში ლგბტ პროპაგანდა – მთავარია, რომ სახელმწიფო არ უნდა მონაწილეობდეს ამაში. მე, რამდენადაც ვიცი, კერძო თეატრია და რაღაცა ფონდები აფინანსებენ. მაგრამ სახელმწიფომ კანონი მიიღო მაგ პროპაგანდის აკრძალვაზე და, რა თქმა უნდა, არ უნდა დააფინანსოს“,** - აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **შოთა გლურჯიძე.**

იხ. 11 გვ.

# ხვიჩა კვარაცხელიას ტრიუმფის სურნელი



## 2007 წელი — კახა კალაძე, 2025 წელი — ხვიჩა კვარაცხელია. გილოცავთ!



**ისტორიისთვის 18 წელი არაფერია, ფეხბურთისთვის კი მთელი ეპოქაა, რომელსაც საამაყო თაობათაგან ესტაფეტაგადაბარებული ხვიჩა კვარაცხელია გიგანტური ნაბიჯებით ქმნის.**

თანამედროვე ქართული ფეხბურთის ჟანგბადის ბალონი გერმანიაში 31 მაისს დაბრუნდება და მიუნხენის ალიანს არენაზე მილანის მრისხანე ინტერთან უკვე პარი სენ-ჟერმენის მაისურით შეეცდება უმაღლესი საკლუბო ტიტულის მოხვეჭას. შეგახსენებთ, რომ პრუსიულ მიწაზე კვარამ ჯერ ნაპოლის მაისურით **დი ლორენცოსთვის** ქუსლით შესრულებული საგოლე პასით ჩაწერა სასახელო ფურცელი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, ხოლო შარშან ევროფორუმების სანაკრებო მატიანე დაამშვენა ჯვაროსანთა მაისურით ცაციათი პორტუგალიელ ვირტუოზთა კაპიტულაციით.

სხვათა შორის, ბავარიის დედაქალაქს უკავშირდება ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის კიდევ ერთი საგულისხმო სტატისტიკური მონაცემიც: იგი წლეულს მეხუთედ უმასპინძლებს საუკეთესოთა შორის საუკეთესოთა ფინალს, წინა ოთხში კი საოცნებო ტრიუმფი იმ გუნდებმა გამოჭედეს, მანამდე მათ კაპიტნებს გადამწყვეტ რაუნდში გამარჯვების აღსანიშნავად ერთხელაც რომ არ აღუმართავთ სანუკვარი თასი. დაგვეთანხმებით, ნოტინგემის, მარსელის, დორტმუნდის ბორუსიისა და ჩელსის მაგალითი სავსებით შესაძლებელია, რომ ფრანგული გრანდისთვისაც გადამდები აღმოჩნდეს არსებობის 55-ე სეზონში. უკეთეს მოტივაციას ხომ ვერც ინატრებს ტახტის ამბიციური მაძიებელი.

დავძენთ, რომ 1 კვირით ადრე **ლუის ენრიკეს** ანსამბლი ქვეყნის თასის მოპოვებასაც შეეცდება რეიმსთან, რომელთანაც საკუთარ პარკ დე პრენსზე გამოკვეთილ ფავორიტად საფუძვლიანად ითვლება.

**პარი სენ-ჟერმენი – არსენალი 2:1**
**პირველი მატჩი 1:0**

**გოლები:** რუისი, ჰაკიმი; საკა. ვიტინიას დარტყმული პენალტი მოიგერია სტუმართა მეკარემ რაიამ.

მეთოფეებს ნახევარდაცვის საკვანძო ფიგურა **პარტეი** დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ დაუბრუნდათ და ეს ფაქტი აუტების კუთხურების მსგავსად შესრულებით დაასველა, მასპინძელთა ბომბარდირმა **დემბელემ** კი ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა და მხოლოდ დასკვნითი 20 წუთის განმავლობაში ითამაშა.

**მიკელ არტეტას** შეგირდთა გრიგალისებური სასტარტო შტურმის გმირმა **დონარუმამ** 1 კვირის წინანდელი პირველი სერია გაიხსენა და პარტნიორები **რაისისა** და **ოდეგორის** გასროლებისგან იხსნა, პირველივე კონტრშეტევას კი ხვიჩა ჩვეული მოჭრილით აგვირგვინებდა, მაგრამ, უკვე მერამდენედ, საქმეში ძელი ჩაერია.

მოვლენებს წინ გავუსწრებთ და კვარას მიერ წარმატებაში შეტანილ უდიდეს წვლილს შემდეგი ფაქტებით გავამყარებთ: მეტოქეებს 6 ორთაბრძოლა მოუგო, რაისს ყვითელი ბარათი აჰკიდა, წამოიწყო თავისიანთა ორივე შედეგიანი იერიში, მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდა ინგლისელთა დაცვა და რამდენიმე გამამწვავებელი პასითაც მოამარაგა თანაგუნდელები, რომლებმაც წყალში ჩაუყარეს ნაღვაწი, მათგან კი, სახიფათო პოზიციებში მყოფი, ზოგჯერ ამაოდ ელოდა პოტენციურად საგოლე გადაცემას.

ასეა თუ ისე, მთავარი მიზანი მიღწეულია და პსჟ პანდემიური 2020 წლის მსგავსად მეორედ შეუტევს მწვერვალს. ალბათ, ბედის ირონიაა, რომ მაშინ ოცნება ოცნებად იმ მიუნხენის ბაიერნთან დარჩა, რომლის სარბიელზეც გაიმართება საბოლოო აკორდი. ვიმედოვნებთ, ძლევაი საკვირველიც გამოიჭედება.

**ინტერი – ბარსელონა 4:3**
**(დამატებით დროში)**
**ძირითადი დრო 3:3**
**პირველი მატჩი 3:3**

**გოლები:** მარტინესი, ჩალხანოღლუ (პენალტით), აჩერბი, ფრატეზი; გარსია, ოლმო, რაფინია.

**ასეთ სპექტაკლებს უნდა ვუმადლოდეთ ფეხბურთის სიდიადეს, თითზე ჩამოსათვლელად რომ მოიძებნება ტურნირის ისტორიაში, ამიტომ ორივე მხარეს ეკუთვნის ერთადერთი შეფასება – ბრავო!**

# ელიტაში — ზედიზედ მეორედ!

**9 მაისს გამარჯვების დღეს აღვნიშნავთ და საქართველოს ხელბურთელთა ეროვნულ ნაკრებს უფლება არ ჰქონდა, არ გავეხარებინეთ.**

ეს სათქმელადაა ადვილი, თორემ ევრო – 2026-ზე ზედიზედ მეორედ გასასვლელად ახალ სპორტის სასახლეში, შარშან მარტში ფეხბურთელთა მსგავსად, გერ-




ძნები უნდა დაგვემარცხებინა ტრავმირებული **კალანდაძისა** და **რუსტამოვის** გარეშე, რასაც თამაშის დროს **ორჯონიკიძის** დაშავება და **გავაშელიშვილის** გაძევება დაემატა.

უნდა ვაღიაროთ, რომ სტუმრები ჩინებულად მომზადებულნი ჩამოვიდნენ და ტაიმნახევრის განმავლობაში მდევრის როლში ვიყავით, ორიოდე ეპიზოდს თუ არ დავასახელებთ (9:8 და 14:13). ისიც სათქმელია, რომ ერთადერთი პენალტი **ცხოვრებაძემ** 20:20-ზე გაიტანა, მთლიანად მატჩი კი უჩვეულოდ მჭლედ – 3 გატანილი ბურთით დაასრულა.

და მაინც – **კბილაშვილმა, არსენაშვილმა, დიხამინჯიამ**, მეკარე **ნიქაბაძემ** და მთელმა გუნდმა მაინც გატეხეს მეტოქე – 29:26, თანაც, პრეზიდენტისა და პრემიერის თანხლებით.

**გმადლობთ და გილოცავთ, ბიჭებო!**




# ზემოთ და ზემოთ!..

**საქართველოს სპორტის მინისტრი შალვა გოგოლაძე ქვეყნის ჰოკეისტთა ნაკრების წევრებს დედაქალაქის ახალ ყინულის სასახლეში შეხვდა და ამასწინანდელი წარმატება მიულოცა.**

შეგახსენებთ, რომ **ალექსანდრე ვედერნიკოვისა** და **რევაზ ცომაიას** გაწვრთნილმა გუნდმა ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2 დივიზიონის „ბ" ჯგუფში ხუთივე შეხვედრა მოიგო და გაისად „ა" ჯგუფში ითამაშებს.

ამ დღეებში გაირკვა, რომ დაწინაურებულ ჯვაროსანთა მომავალი მეტოქეები ბელგია, საამიროები, ავსტრალია, სერბეთი და ხორვატეთი იქნებიან, დრო და ადგილი კი მოგვიანებით დაზუსტდება.

# ქართველები — ევროპულ ტალღაზე




**მონაკო პირველად ითამაშებს საკალათბურთო ევროლიგის ოთხთა ფინალში, რომელსაც 23-25 მაისს აბუ-დაბი უმასპინძლებს და პლეიოფს რეგულარული სეზონის გამარჯვებულ ოლიმპიაკოსთან გამართავს, მეორე ბერძნული გრანდი პანათინაიკოსი კი ფენერბახჩეს შეხვდება.**

სამთავროელთა წარმატებით გამოწვეულ სიხარულს **მანუჩარ მარკოიშვილის** ფაქტორის გათვალისწინებითაც ვიზიარებთ, რომელიც გუნდის ასევე ელადელი თავკაცის **ვასილის სპანულისის** ასისტენტია. მათმა შეგირდებმა მეოთხედფინალური სერია 3:2 მოუგეს ბარსელონას და აღსანიშნავია, რომ გადამწყვეტი ჩხვლეტა მეტოქეს კატალონიელთათვის შავი სამშაბათის ზუსტად იმ წუთებში მიაყენეს, როცა ბროწეულისფერთა საფეხბურთო კლუბი მილანში ინტერთან ჩემპიონთა ლიგას ეთიშებოდა – 85:84.

ასევე ბარსას უკავშირდება ქართული კალათბურთისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომ სწორედ იქ გააგრძელებს 3-წლიანი კონტრაქტით ასპარეზობას ჯვაროსანთა კაპიტანი **თორნიკე შენგელია.**

შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში იგი ვირტუს ბოლონიას მაისურით იტალიური სკუდეტოსთვის იბრძვის და სანაკრებო ევრობასკეტისთვის ემზადება, მანამდე კი ესპანური კარიერა ვალენსიაში დაიწყო და ბასკონიაში ლიგა ენდესას ჩემპიონი გახდა.



# ქრისტეს გმობა თავისუფლების სახელით!..

## გარყვნილები, რადიკალები და „სამეფო უბნის თეატრი“

(მეცხრე გვერდიდან) უფლება-დამცველი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** ელოდება საქართველოს საპატრიარქოს განცხადებას, მათ შორის ელის კულტურის მინისტრის თინათინ რუხაძის განცხადებას და ამის შემდეგ იწყებენ ქუჩის აქციის ორგანიზებას, რომ პროტესტი მისწვდეს ყველას.

**„ბოროტი სოციალური ექსპერიმენტები გარკვეული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც ჰყავს თავისი აღმასრულებელი ადეპტები! ასე მაგალითად, სამხატვრო აკადამიის „აკადემიური პერფორმანსი“ სამხატვრო აკადემიის რექტორ გია ბუღაძის ინსპირაციით, როდესაც რამოდენიმე სტუდენტი ერთმანეთთან პირისპირ მჯდომი ხევს საზარებიდან ფურცლებს, აფურთხებს ერთმანეთს და ღიად გმობს ღმერთს, ილიაუნის რექტორის გიგი თევზაძის უშუალო ხელშეწყობით ერეკლე დეისაძე ახდენს საკრალური დიდი ხუთშაბათის საიდუმლო სერობის წმიდა დღის გმობას. ან კიდევ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დირბის ხატის საჯარო შეურაცხყოფა (თვითმკვლელის შეურაცხმყოფელი სახელდებით)! — ეს ყოველივე ჩვენ გავატარეთ და მიუხედავად გარკვეული პროტესტის გამოხატულებისა, ყველა ზემოთ ნახსენები ბოროტმოქმედი დაუსჯელი დავტოვეთ! ამიტომაც მივიღეთ კიდევ უფრო დიდი მასშტაბის ღვთის გმობის აქტი, რომელიც პირდაპირ მიმართულია იმისკენ, რომ ჩვენ, ჩვენი დუმილით თანამონაწილენი გაგვხადონ ამ ენით გამოუთქმელი შემზარავი დანაშაულისა და ამ გზით შევიქნათ ღვთის მოღალატენი! საჭიროა ქმედითი ნაბიჯები.**

**რაც შეეხება „ჯაყოს ხიზნების“ 70-იან წლებში სატელევიზიო ინსცენირების აქტის შედარებას ნაც-ლიბერასტების მხრიდან და სოციალური შოკის ეფექტის გაიგივებას „სამეფო უბნის თეატრის“ ყოვლადმკრეხელურ ღვთისმგმობ თეატრალიზირებულ აქტთან, ეს არის სატანური პოლიტიკური სექტის უსუსური მცდელობა, ისრები სხვაგან გადაიტანოს და ხალხის რისხვა გაანეიტრალოს, სხვა დატვირთვა ამ შედარებას ვერ ექნება“**, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **დიმიტრი ლორთქიფანიძემ**.




ექიმი **გია ნიშნიანიძე** მიმართავს ხელისუფლებას, რომ სასწრაფოდ მიიღონ კანონი მსგავსი სიბინძურის აკრძალვის. **„ახლა ვუყურე და ვუსმინე ვიღაც ნაძირალა არსების, გვარად თავაძე — ვაისპექტაკლს. გული დამწყვიტა იმ ფაქტმა, როცა შევიტყვე, თუ ვინ არიან მისი წინაპრები, რომლებიც ახლა საფლავში ტრიალებენ და სირცხვილისაგან უფსკრულში იმალებიან. ესაა თავისუფლება?! ესაა დეემოკრატია?!**

**არა, ბატონებო! ეს აბსოლუტური მარაზმია, რომელიც სასწრაფოდ უნდა დაიგმოს, აღიკვეთოს და მივიღოთ კანონი მსგავსი სიბინძურის აკრძალვისა. რასაკვირველია, მე არ ვქადაგებ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების გაუქმებას, მაგრამ ეს არც სიტყვაა და არც თავისუფლება. ხელისუფალნო და საერთოდ ხალხო და ჯამაათნო, დადგა დრო, ხმა ამოვიღოთ თორემ მერე გვიან იქნება და სანანებლად გაგვიხდება“**, — წერს **გია ნიშნიანიძე**.



**ღმერთო, შე*ეცი! არასოდეს მეგონა, თუ ასეთ სიამოვნებას ვეღირსებიდი.**

**არ, ჩემო კეთილო, არავითარი ღმერთი არ არსებობს. ღმერთი — სამებით მოგ*ტყან, ნამებით. ტრა*ი, ტრა*ი, სასწრაფოდ!**

ანალიტიკოს **ედიშერ გვენეტაძის** განცხადებით, ეს არის იმის ნათელი მაგალითი, რომ 17 მაისს ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს საქართველოში და დაგმონ ის გარყვნილება, რომელსაც ეს გახრწნილი სექტა აკეთებს საქართველოში.

**„ეს არის მიფურთხება მისი დიდი წინაპრებისა. როგორც ვიცით, ეს სუბიექტი, ეს უმგვანო არსება არის დიდი კოტე მახარაძის და მედეა ჩახავას შთამომავალი. ამიტომ, თუ შეურაცხყოფა მიაყენა, მიაყენა უპირველესად მის ღირსეულ წინაპრებს, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული კულტურის ისტორიაში. ეს ვიღაცა თავაძე არის შეუმდგარი ხელოვანი. ესენი ხელოვანები არ არიან, ესენი არიან პორნოხელოვანები, რომლებიც წავიდნენ და თან წაიყვანონ სუბელიანი, თაბაგარი და მისი ამფსონები, შემოღობონ ტერიტორია და ააშენონ პორნო თეატრი, გაუკეთებს ხაზარაძე, ჩაურიცხავს ფულს და შეაჯდნენ ერთმანეთს.**

**ის, რაც გავრცელდა, ეს არის საზიზღრობა, ქრისტიანობის შეურაცხყოფა, ადამიანების შეურაცხყოფა და მთელი ქართული კულტურის აბსოლუტურად იავარქმნის მცდელობა, მაგრამ ესენი ქართულ კულტურას ვერაფერს დააკლებენ. აი, ვის უნდა ხელისუფლებაში მოსვლა! აი, ვინ არის მომხრე ე.წ. პოლიტიკური პატიმრები დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ! აი, ვინ უტევდა ჩვენს ქართულ პოლიციას და ვინ წვავდა მათ ცოცხლად! აი, ვინ დგას ყოფილი პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის, გვარამიას, მელიას და ასეთ გახრწნილ, გათახსირებულთა გვერდით. თუმცა, არ მიკვირს ესენი ზურაბიშვილს მხარს რომ უჭერენ, ვინაიდან მან ჩაიდინა უდიდესი მკრეხელობა, როდესაც საკუთარი შვილის ნათლიასთან გაიყო სარეცელი, ამაზრზენი, საშინელი და სამარცხვინოა ეს ყველაფერი!**, — აცხადებს **გვენეტაძე**.

მოამზადა **თამთა ქარჩავამ**.

## 32 წლის ქალმა 63 წლის ქალი სექსმონად გაიხადა

**1993 წელს დაბადებულ მ.ფ.-ს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. შსს-ს ინფორმაციით, ის 1963 წელს დაბადებულ ლ.ქ.-ს, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, სხვადასხვა პირთან სქესობრივი კავშირის დამყარებას აიძულებდა.**

უწყების ცნობითვე, მ.ფ., ტრეფიკინგის ბრალდებით, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის არის ნასამართლევი.

**„კურიერის“ ინფორმაციით, ბრალდებულმა და დაზარალებულმა ერთმანეთი რამდენიმე თვის წინ გაიცნეს, დამეგობრდნენ და ნდობის მოპოვების შემდეგ, ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებულმა, 63 წლის ქალს შესთავაზა, რომ კლიენტების მოძებნაში დაეხმარებოდა. თუმცა, სანაცვლოდ, მისთვის თანხა უნდა გადაეხადა.**

**თავდაპირველად დაზარალებული დათანხმდა, თუმცა მოგვიანებით მან გადაწყვეტილება შეცვალა და უარი თქვა, რის შემდეგ მის მიმართ მუქარა და ფსიქოლოგიური ზეწოლა დაიწყო.**

**„ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, ბრალდებული ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენებითა და მუქარით, 1963 წელს დაბადებულ ლ.ქ.-ს, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, სხვადასხვა პირთან სქესობრივი კავშირის დამყარებას აიძულებდა.**

**გამოძიებით ასევე, დადგინდა, რომ ამ გზით მოპოვებული თანხის ნაწილს ბრალდებული ისაკუთრებდა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“**, — აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

## გასკვანჩეს ნარკომოვაჭრეები

**შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის, ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკრაინის მოქალაქე 1992 წელს დაბადებული ვ.კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დააკავეს,** — ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.



მათივე ცნობით, დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა სასაზღვრო გამშვები პუნქტი „სარფის” ტერიტორიაზე, ბრალდებულის პირადი შემოწმების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“ აღმოაჩინეს. პოლიციამ ვ.კ. ბრალდებულის სახით დააკავა.

## ყალბი ფულის გამსაღებლებს ბრალდებები წარუდგინეს!

**საქართველოს პროკურატურამ ჯგუფურად დიდი ოდენობით ყალბი ფულის შეძენა, შენახვის და გასაღების ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა,** — ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა უკანონოდ შეიძინეს, შეინახეს და 188 900 აშშ დოლარის ოდენობის ყალბი კუპიურები ქალაქ გორში გაასაღეს.



**ორივე პირს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეუფარდა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“,** — აღნიშნულია ინფორმაციაში.

## აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული მინიმუმ, 26 655 ადამიანი გვყავს!

**შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, დღეს ელექტრონულ ბაზაში, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა სიაში 26 655 ფიზიკური პირია რეგისტრირებული.**

უწყების თანახმად, აქედან მოსამართლის ბრძანების საფუძველზე 58 პირი, ხოლო თავად პირის მომართვის საფუძველზე 26 597 განაცხადი დარეგისტრირდა.

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება 2022 წლის 1 მარტიდან შევიდა. კანონის თანახმად, სიაში, ავტომატურ რეჟიმში 1 552 685 პირის შესახებ არის ინფორმაცია შეტანილი.

აღსანიშნავია, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა თვითშეზღუდვის პროცედურა კიდევ უფრო გამარტივდა. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, სწრაფი იდენტიფიცირების გზით, ვებგვერდზე www.rs.ge ავტორიზაციის გარეშე, მარტივად შეიყვანოს საკუთარი მონაცემები. ამასთან, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა სიაში მონაცემების შეტანა, შესაძლებელია ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან, ელექტრონული განცხადების წარმოდგენით.

## ნაჯახით შეიარაღებული სტუდენტი... ტრაგედია ვარშავაში

**ვარშავის უნივერსიტეტში ნაჯახით შეიარაღებული მამაკაცი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შეიჭრა და იქ მყოფ ხალხს თავს დაესხა.**

შემთხვევის შედეგად ერთი ქალი გარდაიცვალა, კიდევ ერთი ადამიანი მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. პოლიციის ცნობით, თავდამსხმელი დაკავებულია, ის პოლონეთის მოქალაქეა, რომელიც ამავე უნივერსიტეტის სტუდენტია. თავდასხმასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ 8 მაისი გლოვის დღედ გამოაცხადა. თავდასხმის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

# 1945 წლის 9 მაისი — სიცოცხლის გამარჯვება სიკვდილზე



## კენოტაფია*,

### ანუ სტალინის აჩრდილის მონოლოგი მავზოლეუმიდან

ტყვიის გრიგალ-
წვიმა-თქეშში:
ვიყავ ველზეც,
ვიყავ ტყეშიც...

და... მანძილი,
ძრწოლის, მაშინ,
გავიარე
ბრძოლის მარშით...

მე მოვიგე
ომი, როცა
და... მსოფლიომ
მომილოცა...

არავინ თქვას:
ფარაჯიან
გამარჯვებულს
არა სჯიან...

რადგან ძლევა
მაკლდა მაშინ,
მძლიეს —
მხოლოდ,
აკლდამაში...

**ფარნა რაინა**

* ბერძნ. – ცარიელი საფლავი, რომელშიც მიცვალებული არ მარხია.

# პოეზიის დღე და ორი საიუბილეო თარიღი ეროვნულ ბიბლიოთეკაში



**ათ წელზე მეტია, ეროვნულ ბიბლიოთეკაში 7 მაისს პოეზიის დღე აღინიშნება. ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, 2025 წლის 7 მაისის საღამო ორ საიუბილეო თარიღს აერთიანებდა – პოეზიის დღის დაარსებიდან 105 წელს და სახალხო პოეტ იოსებ ნონეშვილის დაბადებიდან 105 წელს.**

ღონისძიება ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა გახსნა.

საღამო გაიხსნა თამარ ნონეშვილის კერამიკული ნამუშევრებისა და ხელკაზმების გამოფენით – **„ყვავილების მეჯლისი“.**

„ყვავილების მეჯლისი“ თამარ ნონეშვილის პირველი პერსონალური გამოფენაა. თამარს იცნობენ, როგორც ფრანგული ენის პედაგოგს, მთარგმნელს, ფრანკოფონს, თუმცა ცოტამ თუ იცის მისი გატაცების შესახებ – ჰობი, რომელიც ბოლო 5 წელია მეორე პროფესიად იქცა. ფერებსა და ფორმებში ასახული პოეზია სახალხო პოეტ იოსებ ნონეშვილის გახსენებით გაგრძელდა.

საღამოზე იოსებ ნონეშვილის ამღერებული ლექსები გაჟღერდა. მოწვეულმა სტუმრებმა გაიხსენეს უკვე კარგად ცნობილი სიმღერები, შემსრულებლები და სამშობლოსა და ადამიანებზე უზომოდ შეყვარებული პოეტი.



# სოლო კონცერტი რუსთაველის ეროვნულ თეატრში

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, რუსთაველის ეროვნულ თეატრში ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გუნდის პირველი სოლო კონცერტი გაიმართა.**

სამინისტროს ცნობით, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან ხალხური სიმღერისა და ტრადიციული გალობის გუნდი გასულ წელს, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დაფუძნდა და სალოტბარო სკოლის მოსწავლეებს, გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აერთიანებს.

თეატრის მცირე სცენაზე გამართულ კონცერტზე, რომელსაც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი **გიორგი დონაძე** უძღვებოდა, შესრულდა სხვადასხვა კუთხის ფოლკლორის ნიმუშები, ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერები და საგალობლები. გუნდის წევრები საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით შეძენილი სასცენო სამოსით წარდგნენ.

კონცერტს საქართველოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე,** მინისტრის მოადგილე **გიორგი მირცხულავა** და პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი გაბუნია** დაესწრნენ.

**„ქართული ფოლკლორი არის ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელი, ეს არის ის უნიკალურობა, რაც ჩვენ ქვეყანას განუმეორებელს ხდის მთელს მსოფლიოში, ეს არის ჩვენი სავიზიტო ბარათი. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ფოლკლორი იყოს ნომერ პირველი პრიორიტეტი ქართული კულტურისთვის. მადლობა პარლამენტის კულტურის კომიტეტს, ყველა ანსამბლს, რომელიც ამას ემსახურებით. მადლობა იმ საქმისთვის, რასაც ქართული კულტურისთვის აკეთებთ“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**



# თამამი და საინტერესო მანერის მხატვარი



**დღეს 18.00 საათზე, ფარნაოზ ლაპიაშვილის სახელობის სამხატვრო სახელოსნოში გიგა ლაპიაშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნება.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, გამოფენაზე მხატვარი წარმოადგენს 2023-2025 წლებში პორტრეტისა და ნიუს ჟანრში შესრულებულ ფერწერულ ნამუშევრებს. ნამუშევრებში გაერთიანებულია ტრადიციული ფერწერის მეთოდი და გიგა ლაპიაშვილის საავტორო თამამი და სპონტანური მანერა. სპონტანურია ტიპაჟების ინტერპრეტაციაც: უშუალო გამოხედვით ან მიმიკით მომენტალურად გახსნილი ხასიათი. ისეთივე კონტაქტური, როგორც მათი ავტორი.

**9 მაისი დიდი ქართველი სცენოგრაფის, თბილისის სამხატვრო აკადემიის თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის სახელოსნოს ფუძემდებლის ფარნაოზ ლაპიაშვილის (1917-1994) დაბადების დღეა. გამოფენა მის ნათელ ხსოვნას ეძღვნება. მისამართი: ფარნაოზ ლაპიაშვილის ქ. N1 (ფიქრის გორა. სამხატვრო აკადემიის II კორპუსი).**

**საქართველოს რესპუბლიკა**

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგზეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 12 მაისს**